პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 276 (5077) შაბათი, 4 დეკემბერი 1937 წ. ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ბოლშევიკური ხელმძღვანელობა საარჩევნო უბანს (მოწინავე).
სტახანოვური რეკორდების სტალინური დეკადა („პრავდის" მოწინავე. 1-ლი გვ.).
მეცხოველეობის დარგში მოქმედი კონტრრევოლუციურ-მავნებლური, ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციის მონაწილეთა გასამართლება (2 და 3 დეკემბრის სხდომები. მე-3 გვ.).
ილო მოსაშვილი — სერგეი კიროვის ხსოვნას (ლექსი. მე-3 გვ.).
მთელ საქართველოში დიდი აღმავლობით ტარდება წინასაარჩევნო მიტინგები (მე-2 გვ.).
უცხოეთში:
ესპანეთის სახალხო ფრონტის [illegible] კომიტეტის მანიფესტი (მე-4 გვ.).
პოლონეთის სამხედრო ხროვის პროვოკაციული გამოსვლა (მე-4 გვ.).
ესპანეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.).

ბოლშევიკური ხელმძღვანელობა საარჩევნო უბანს

კიდევ რამდენიმე დღე და საბჭოთა კავშირის მილიონობით მშრომელნი სიხარულით გაემართებიან საარჩევნო ყუთებისაკენ, რათა თავისი ხმები მისცენ სოციალიზმის სამშობლოს საუკეთესო ადამიანებს. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნები უდიდესი პოლიტიკური ამოცანაა. „არჩევნები სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე კიდევ უფრო განამტკიცებს მუშათა კლასის დიქტატურას და აფართოებს მის ბაზას, კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მილიონიან მასებს და მოსახლეობის ახალ ფენებს აბამს ჩვენი ქვეყნის აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში" (ლ. ბერია).

არჩევნების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობას გაუწევენ პარტიული ორგანიზაციები არჩევნების სამზადისს თავის ტერიტორიაზე, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის დაყენებული აგიტაცია-პროპაგანდა, როგორ არის მომზადებული საარჩევნო უბანი.

ამჟამად არაფერია იმაზე უფრო პასუხსაგები და საპატიო საქმე, ვიდრე აგიტაცია უზენაესი საბჭოს დეპუტატობის დასახელებულ კანდიდატთა სასარგებლოდ. ხალხმა შეარჩია საუკეთესო ადამიანები, დაასახელა ლენინ-სტალინის საქმისათვის მტკიცე მებრძოლნი, რომელთაც შესწევთ უნარი „ხელთ ეპყრათ საბჭოთა სახელმწიფოს ხომალდის საჭე". მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. შემდგომი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უკლებლივ ყველა ამომრჩეველს გავაცნოთ დასახელებული კანდიდატები, სააგიტაციო მუშაობა გავშალოთ იმგვარად, რომ უზრუნველვყოთ მასებში ბოლშევიკური გავლენის კიდევ უფრო გაძლიერება.

ზოგიერთ რაიონულ და პირველად პარტიულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია არჩევნების მზადებაში საგიტაციო მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა.

მაგალითად, თელავში პარტიის რაიონულმა კომიტეტმა გამოჰყო აგიტატორების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მიამაგრა ისინი სხვადასხვა საარჩევნო უბანს, მაგრამ შემდეგ არ შეუმოწმებია მათი მუშაობა, არ გაუწევია მათთვის ხელმძღვანელობა და დახმარება. ფაქტიურად აგიტატორთა განსაზღვრული ნაწილი უსაქმოდ დადის და არ იცის, სად უნდა იმუშაოს და რა აკეთოს. ოჟიოს საარჩევნო უბანში 10 აგიტატორიდან დღემდე მხოლოდ ერთმა—ამხ. ედიშეროვმა — დაიწყო მუშაობა. თელავის პარტიულ ორგანიზაციას აქ აგიტატორები უსულგულოდ შეურჩევია. თუ არ ამით, მაშ რით უნდა აიხსნას, მაგალითად, ის გარემოება, რომ აგიტატორებად პარტიის რიგებიდან გარიცხული პირებიც გამოუყვიათ. აგიტატორების ნაწილი კი იმდენად სუსტია, რომ ისიც არ იციან, თუ ვინ არის რეგისტრირებული მათს საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად. საგიტაციო საქმის ასეთი ადამიანების ხელში ჩაგდება პოლიტიკური სიბეცე და პარტიის დირექტივის უხეში დამახინჯებაა.

საგიტაციო მუშაობა სუსტადაა დაყენებული საქართველოს ზოგიერთ სხვა რაიონშიც.

ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ დაივიწყა, რომ ის პასუხისმგებელია არჩევნებისათვის თავის ტერიტორიაზე, და მთელი მუშაობა თვითდინებას მიანდო. რაიონებიდან საკმაოდ ბევრი ცნობები მოდის იმის შესახებ, რომ ზოგიერთი საარჩევნო კომისია სუსტად მუშაობს, რომ სასოფლო საბჭო არჩევნების მზადებას ვერ ხელმძღვანელობს და სხვ. რა ზომებს ღებულობენ პარტიული ორგანიზაციები ამ უმსგავსოებათა აღსაკვეთად? რად არ აქცევს ყურადღებას მაგალითად, ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია, იმ ფაქტს, რომ სოფ. ნაგარევის საარჩევნო უბნის სამუშაო ოთახის კარები ხშირად გამოკეტილია და ამომრჩევლები საუბნო კომისიას დაეძებენ? ამ საარჩევნო უბანში იმის გამო, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ხშირად თავის ადგილებზე არ არიან, სიტყვიერ შეკითხვებს არ ღებულობენ, კედელზე გაკრულ განცხადებაში ამომრჩევლებს სთხოვენ — შეკითხვები დაწერეთ და ისე მოგვაწოდეთო. ამ გახურებული მუშაობის პერიოდში ნამოხვანის სოფლის საბჭოს კარებიც ხშირად არის გამოკეტილი.

ასეთივე მდგომარეობაა გორის რაიონის № 6 და 7 საარჩევნო უბნებში. საუბნო კომისიებს ამომრჩევლები აქაც ხშირად დაეძებენ, მაგრამ იშვიათად პოულობენ. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია ასეთი უპასუხისმგებლობის აღმოსაფხვრელად გადამჭრელ ზომებს არ ღებულობს.

საქართველოს ბევრ რაიონში ამომრჩეველთა სიებში მრავალი შეცდომა აღმოჩნდა. საჭირო იყო ამ შეცდომების დაუყოვნებლივ გასწორება. პარტიული ორგანიზაციების ყურადღება აქეთკენ უნდა გამახვილებულიყო. ბევრგან ასეც მოხდა, ამომრჩეველთა სიებში დაშვებული შეცდომები გამოასწორეს. მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი რაიონები, სადაც ამ მხრივ დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა, სადაც ამომრჩეველთა სიებში დაშვებულ უსწორობის შესახებ შემოტანილ განცხადებებს დაწესებულ ვადებში არ არჩევენ, ამომრჩეველთა ბინადრობის გამოცვლისას „ხმის მიცემის უფლების მოწმობის" გაცემას აჭიანურებენ და ამით უკმაყოფილებას ჰქმნიან.

ლაგოდეხის რაიონის ცოდნისკარის სასოფლო საბჭოში (თავმჯდომარე ე. ხელაშვილი) ამომრჩეველთა სიებში დაშვებული შეცდომების შესახებ განცხადებებს ისე არ არჩევენ, თუ 20 განცხადება მაინც არ დაგროვდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აქ ათი დღის წინათ შემოტანილი განცხადებებიც არაა განხილული. ასე უხეშად არღვევენ საარჩევნო კანონს ვარდისუბნის სასოფლო საბჭოშიც (თავმჯდომარე ე. იასაშვილი). ვარდისუბანში მცხოვრებმა გიორგი ჭოტაშვილმა 5 დღე დაჰყო სასოფლო საბჭოში იმისათვის, რომ „ხმის მიცემის უფლების მოწმობა" მიეღო. ასეთ უმსგავსოებათა მაგალითების მოყვანა სხვა რაიონებიდანაც შეიძლება.

რას მოწმობენ ეს ფაქტები? უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ საარჩევნო უბანი ვერ მოაქცია თავისი ყურადღების ცენტრში, ვერ დარაზმა სასოფლო საბჭოები, საარჩევნო კომისიები არჩევნების წარმატებით მომზადების უზრუნველსაყოფად. ავიწყდებათ, რომ როცა საარჩევნო უბანს უსულგულოდ ეკიდებიან, ამით მცირე სამსახურს როდი უწევენ მტრულ ელემენტებს. სადაც ბოლშევიკური გავლენა სუსტია, იქ მტერი ადვილად უწევა ანტისაარჩევნო მუშაობას. თვითეული პარტიული ორგანიზაცია ვალდებულია ეს მტკიცედ დაიხსომოს.

მეორე მხრით ეს ფაქტები მოწმობენ იმას, რომ ზოგიერთი სასოფლო საბჭო და საარჩევნო კომისია დამოუკიდებელი მუშაობის არავითარ ინიციატივას არ იჩენს. ასეთ განწყობილებას სასტიკად უნდა დავარტყათ.

საარჩევნო კამპანიის მზადებაში ჯერ კიდევ სუსტ უბანს წარმოადგენს ნდობით აღჭურვილ პირთა მუშაობა. ადგილებიდან ცოტა როდია სიგნალები, რომელნიც მოწმობენ ნდობით აღჭურვილ პირთა დაუდევრობას თუ გულგრილობას. რა ნდობა უნდა დაიმსახუროს, მაგალითად, თელავის რაიონის იმავე ოჟიოს საარჩევნო უბნის ნდობით აღჭურვილ პირმა, როცა იგი უბანში ჯერაც არ გამოცხადებულა.

ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები ეცნობიან თავის კანდიდატებს, როცა უბნებში ეწყობა ამომრჩეველთა და კანდიდატთა შეხვედრები, ნდობით აღჭურვილ პირთა ამოცანები კიდევ უფრო გაზრდილია. მათ მოქნილ მუშაობაზე, საგიტაციო მუშაობის ხარისხზე დიდად არის დამოკიდებული იმის უზრუნველყოფა, რომ უკლებლივ ყველა ამომრჩეველმა ხმა მისცეს მათ საარჩევნო ოლქში წამოყენებულ და რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატებს. ნდობით აღჭურვილი პირები ვალდებულნი იყვნენ შეესწავლათ თავიანთი უბნების ამომრჩეველთა შემადგენლობა და საგიტაციო მუშაობა მოეწყოთ დიფერენციულად იმასთან შეფარდებით, თუ როგორ წრეში უხდება აგიტატორს მუშაობა. ამასთანავე აგიტაცია უნდა გაეხადათ მიმზიდველი, დამაჯერებელი და საინტერესო. მაგრამ ყველგან როდი მოქცეულან ასე. მთელ რიგ რაიონებში აგიტაციას შტამპი და შაბლონი ჩრდილავს. ამის მაგალითებია ფოთში, ზესტაფონში, გურჯაანში და სხვ.

12 დეკემბრამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა, არჩევნებისათვის მზადებაში კი ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა დააყენონ საქმე, რომ სასწრაფოდ და მთლიანად აღმოფხვრან დეფექტები და უზრუნველჰყონ ბოლშევიკური წინასაარჩევნო აგიტაციის ფართოდ გაშლა.

უცხოეთის ქრონიკა

● მელითონეთა პროფკავშირის სრულიად-პოლონეთის ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, სადაც გამოთქმულია სოლიდარობა გმირი ესპანელი ხალხისადმი ფაშისტ ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

● რადგან ჩინელმა მოსამსახურეებმა უარი სთქვეს განაგრძონ მუშაობა იაპონელთა კონტროლ ქვეშ, შეწყდა შანხაის სატელეგრაფო კავშირი დანარჩენ ჩინეთთან.

● გაზეთმა „შენჯოუჯიბაომ" დღეს გამოაცხადა, რომ იგი იხურება. ეს მეშვიდე გაზეთია, რომელმაც შეწყვიტა არსებობა იაპონელთა მიერ შანხაის დაპყრობის დროიდან.

● იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტა ოფიციალურად იცნოს ფრანკო, რაზედაც პრემიერმა კონოემ უკვე მიიღო იმპერატორის სანქცია.

● ხაიფის სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა პალესტინაში არაბთა პარტიზანული მოძრაობის ერთერთ თვალსაჩინო ხელმძღვანელს ფახრან საადის. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

● გამოირკვა საბოლოო შედეგები ნიუიორკის საქალაქო მუნიციპალური საბჭოს არჩევნებისა. ახალი საქალაქო მუნიციპალური საბჭო შესდგება 26 წევრისაგან, რომელთაგან 14 არის დემოკრატიული პარტიიდან, 6 — ამერიკის მუშათა პარტიიდან, 3 რესპუბლიკური პარტიიდან და დანარჩენები — დამოუკიდებლები.

ამხ. გ. მ. დიმიტროვის კანდიდატურა რეგისტრირებულია კოსტრომის საარჩევნო ოლქში

მოსკოვი, 2 დეკემბერი (საკდესი). გუშინ მთელ ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა ტრანსლაცია რადიოგადაცემისა, რომელიც მიეძღვნა კომინტერნის აღმასკომის გენერალურ მდივანს ამხანაგ **გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვს**—კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, წამოყენებულს იაროსლავლის ოლქის კოსტრომის საარჩევნო ოლქში.

მილიონობით ამომრჩევლებმა მოისმინეს ბიოგრაფიული ნარკვევი მუშათა კლასისა და ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილის, დიდი სტალინის თანამებრძოლის — კომინტერნის ხელმძღვანელის შესახებ.

რადიოთი გადასცემდნენ მისალმებებს ამხანაგ დიმიტროვისადმი კოსტრომის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა 29—ათასიანი მიტინგისაგან, სოფელ იაკოვლევსკის ამომრჩეველთა მიტინგისაგან, ამონაწერებს წინასაარჩევნო კრებებზე მუშათა და მეცნიერ მუშაკთა მიერ წარმოთქმული სიტყვებიდან და კოსტრომის მშრომელთა ნაამბობს თავის კანდიდატზე.

დასასრულ გადაცემულ იქნა საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილება ამხანაგ დიმიტროვის კანდიდატურის რეგისტრაციის შესახებ კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად.

მოსკოვის სტალინის რაიონის უხუცეს ამომრჩეველთა თათბირი

მოსკოვი, 2 დეკემბერი (საკდესი). მოსკოვის სტალინის რაიონში მცხოვრებ უხუცეს ამომრჩეველთა თათბირზე მისაწვევი ბილეთები წინასწარ დაიგზავნა. თვითეულ სახელობის მოსაწვევ ბილეთში ზუსტად იყო აღნიშნული, თუ როდის მიაკითხავდა ამომრჩეველს მანქანა. 2 დეკემბერს 58 უხუცესმა ამომრჩეველმა, რომელთა შორის უმცროსი 70 წლისაა, ხოლო უფროსი 90 წელზე მეტი ხნისაა, თავი მოიყარა საკ. კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომში. ისინი, რომელთაც გამოსცადეს მთელი ჩაგვრა თვითმპყრობელობისაგან, და რომელთაც ცხოვრების უდიდესი გამოცდილება აქვთ, შეიკრიბნენ აქ, რათა იმსჯელონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებზე.

უხუცეს ამომრჩეველთა თათბირი გახსნა საკ. კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. სიგალმა.

გაიმართა მეგობრული გაცხოველებული საუბარი. თვითეულს სურს პირველმა გამოსთქვას თავისი აზრები, ილაპარაკოს თავის მძიმე ცხოვრებაზე წარსულში და შესანიშნავ აწმყოზე, რომელიც მოპოებულია საბჭოთა ხალხის მიერ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით და ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში.

— მე, მოხუცი, — ლაპარაკობს იაგორ გრიგოლის-ძე ლოვცოვი, — მოსკოვში ჩამოვედი 1876 წელს, სამოცი წლის წინათ. ბავშვი წამიყვანეს ბოსტნეულის დუქანში სამუშაოდ. 18 წლამდე ვცხოვრობდი რაგოჟსკის ღობურს იქით და მხოლოდ ტაგანკას ვცნობდი. ახლა კი ჩვენმა ბავშვებმა ყველაფერი იციან. ბედნიერი გახდა ცხოვრება. ტყუილა კი არ ამბობენ სიმღერაში: „მე სხვა ისეთი ქვეყანა არ ვიცი, სადაც ასე თავისუფლად სუნთქავდეს ადამიანიო". და გულიც სიხარულით არის აღვსილი. ხოლო როგორ ვცხოვრობდით 1917 წლამდე?

— ცუდად ვცხოვრობდით, ძვირფასო, ცუდად,—გაისმის პასუხად.

და, ბოლოს, აღელვებული ამხ. ლოვცოვი უდიდესი აღფრთოვანებით უსურვებს დღეგრძელობას მშობლიურ ბელადს, მასწავლებელს, მეგობარსა და მამას ამხანაგ სტალინს.

— ამჟამად,—ამბობს მეორე ძველი მუშა ამხ. ჩულანოვი, — თვითეულს შეუძლია მიიღოს კვალიფიკაცია, ოღონდ კი სწავლისა და მუშაობის ხალისი იყოს. შესანიშნავი ცხოვრებაა! ჩვენ 12 დეკემბერს სიხარულით მივცემთ ხმას ამხანაგ სტალინსა და ამხანაგ ბულგანინს.

ყველა მოხუცი აღელვებით ლაპარაკობს თავისი სიყვარულის ღრმა გრძნობაზე მშობლიური სტალინისადმი, მადლობას უცხადებენ მას ბედნიერი მოხუცებულობისათვის, გამოსთქვამენ უსაზღვრო ბედნიერებას — ხმა მისცენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატს.

სტალინის რაიონის მოხუცებმა ერთსულოვნად გადასწყვიტეს, ყველამ მიიღოს მონაწილეობა 12 დეკემბერს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებში, ყველამ მისცეს თავისი ხმა ამხანაგ სტალინსა და ამხანაგ ბულგანინს.

სტალინური კონსტიტუციის მიღების წლისთავი

მოსკოვი, 2 დეკემბერი (საკდესი). დედაქალაქი ემზადება საბჭოების საგანგებო VIII სრულიად-საკავშირო ყრილობის მიერ სტალინური კონსტიტუციის მიღების წლისთავის აღსანიშნავად.

საბჭოთა მოედანი, საარჩევნო საოლქო და საუბნო კომისიების ყველა სადგომი, აგრეთვე სარაიონო საბჭოების, სახალხო კომისარიატებისა და საწარმოების შენობები სადღესასწაულოდ ირთვება. ქუჩები და მოედნები რადიოფიცირებული იქნება.

5 და 6 დეკემბერს, დღის 1 საათზე, მოსკოვის ყველა რაიონში გაიმართება ამომრჩეველთა მიტინგები, რომლებზედაც გამოვლენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. საკ. კ. პ. (ბ) სარაიონო კომიტეტების მდივნები და რწმუნებული პირები ამომრჩევლებს უამბობენ მოსკოვის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად დარეგისტრირებულ კანდიდატების შესახებ.

ზეიმის დღეებში საწარმოებსა, დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, კლუბებსა, წითელ კუთხეებსა და აგიტპუნქტებში გაიმართება სტალინური კონსტიტუციისადმი მიძღვნილი საღამოები.

სტალინური კონსტიტუციის მიღების წლისთავი აღინიშნება აგრეთვე სხვადასხვა სასპორტო შეჯიბრებით, კარნავალებით, საღამოებით, მასობრივი სახალხო სეირნობით მოედნებზე, პარკებში და სტადიონებზე.

5 დეკემბერს ყველა სკოლაში ეწყობა ბავშვთა დილა. გაიმართება ამომრჩეველ მოსწავლეთა საღამოები.

სტახანოვური რეკორდების სტალინური დეკადა

შრომის ნაყოფიერების არაჩვეულებრივი რეკორდები

მოსკოვი, 2 დეკემბერი (საკდესი). სტახანოვური რეკორდების სტალინური დეკადის მეორე დღე აღინიშნა შრომის ნაყოფიერების ახალი არაჩვეულებრივი რეკორდებით.

დაზგათმშენებელ ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მეორე მექანიკური საამქროს მღარველმა ნესტეროვმა სახარატო დაზგა „დიპ—500"-ის საყელურის დეტალის დამუშავებისას 2 დეკემბერს ნორმა 3.317 პროცენტით შეასრულა. მან შვიდ საათში გამოიმუშავა 209 მანეთი (პროგრესიულ წანამატს გარდა).

ამხ. ნესტეროვი მუშაობდა ხუთი მღარავით და ერთდროულად 44 დეტალს ამაგრებდა დაზგაზე. 44 დეტალის ერთდროულად დამაგრებისათვის ამხ. ნესტეროვმა ინსტრუქტორ ამხ. ზახაროვთან ერთად გამოიყენა მოწყობილობა, რომელსაც სხვა დეტალის დამუშავებისას ხმარობენ. ამხ. ნესტეროვმა მღარველის კვალიფიკაცია მიიღო ამავე ქარხანაში 1934 წელს. მანამდე იგი მუშაობდა შავ-მუშად.

შრომის შესანიშნავი ნაყოფიერება გვიჩვენა ამ საამქროს მეორე მღარველმა ამხ. ცარევმა. ამუშავებდა რა ბუნიკებს სახარატო-საბურღი დაზგისათვის, მან ნორმა შეასრულა 2.528 პროცენტით.

დონის სატრაქტორო ბრიგადებმა უმაგალითო მაჩვენებლებს მიაღწიეს

დონის როსტოვი, 2 დეკემბერი (საკდესი). წელს დონის ასობით სატრაქტორო ბრიგადებმა უმაგალითო მაჩვენებლებს მიაღწიეს, გამოიმუშავეს რა ორ-ორი და სამ-სამი წლის ნორმები.

გოლოდაევსკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია ორდენოსან სიმონ დანიელის-ძე ნემენუშჩის ბრიგადამ. მისი ბრიგადის თვითეულმა ბორბლიანმა ტრაქტორმა რბილ ხვნაზე გადაყვანით გამოიმუშავა 1.295 ჰექტარი—2 წლიური ნორმა. ბრიგადამ 619 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია მოგვცა.

ატმანოვსკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ორდენოსან გრიგოლ ანდრიას-ძე ბუკრეევის ბრიგადამ თვითეულ ტრაქტორზე „სტზ" გამოიმუშავა 1.288 ჰექტარი (ნორმით გათვალისწინებულია 670 ჰექტარი). ბრიგადამ მოგვცა 675 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია.

ფეროშენადნობთა ქარხანაში

ზესტაფონი, 2 დეკემბერი (საქდესი). 26 ნოემბერს გაიმართა ფეროშენადნობთა ქარხნის მექანიკური საამქროს მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი. მიტინგი მიეძღვნა ქ. მოსკოვის სტალინის რაიონის საწარმოთა სტახანოველების მოწოდებას 1-დან 10 დეკემბრამდე სტახანოვურ რეკორდთა სტალინური დეკადის ჩატარების შესახებ. სიტყვებით გამოსული მუშები უდიდეს აღფრთოვანებას გამოხატავდნენ მოსკოველი ამხანაგების ამ საუცხოო ინიციატივის გამო. მათ იკისრეს ახალი ვალდებულებანი, რომ სსრკ უზენაესი საბჭოს არჩევნებს მაღალი მაჩვენებლებით შეხვდებიან.

— ქარხნის ღუმელების მუშაობა,—ამბობს სტახანოველი ზეინკალი ანტონ ბალიდა,—დიდად არის დამოკიდებული აგრეგატების შეკეთების ხარისხზე, ამიტომ ვკისრულობ ვალდებულებას, რომ მოცემული შეკეთები მაღალხარისხოვნად დავამზადო და საწარმოო დავალება ორმაგად შევასრულო.

მიტინგზე ასეთივე ვალდებულება იკისრეს კ. ფუტკარაძემ, გ. ლეტუჩიმ და სხვებმა. ისინი პირობას იძლევიან, რომ საწარმოო დავალებებს 150—200 პროცენტით შეასრულებენ და შეკეთების ხარისხს საგრძნობლად გააუმჯობესებენ.

30 ნოემბერს ასეთივე მიტინგი ჩატარდა შენადნობთა ქარხნის მოლიბდენის საამქროს მუშა-მოსამსახურეთა შორის. ამხ. ვ. ბოჭორიძემ იკისრა ვალდებულება, რომ 630 კილოგრამ ფერომოლიბდენის კონცენტრატის ნაცვლად გამოსწვას 700 კილოგრამი და მოლიბდენის გამოყენების კოეფიციენტი გაზარდოს 97,5 პროცენტამდე.

— მოსკოველი ამხანაგების მოწოდების საპასუხოდ ვალდებულებას ვკისრულობ, — ამბობს უფროსი მდნობელი გ. ნებიერიძე—სადნობი კერების კარგი ხელისშეწყობით და ტექნოლოგიური პროცესების სწორად წარმართვით მოლიბდენის გამოდნობის გეგმა შევასრულო 150—200 პროცენტით.

ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ამხ. გრიგოლ ხაჩიძემ, იაკობ სილენკომ, პოლიკარპე ნებიერიძემ, ტ. კირკიტაძემ, ჩიტორელიძემ, ჭეჭინაძემ, კატკოვამ, ხეცაძემ და სხვ.

ნავთის მრეწველობის მუშები ჩაებნენ დეკადაში

ბათუმი, 2 დეკემბერი (საქდესი). ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების მუშები, მოსამსახურეები, ტექნიკოსები მხურვალედ გამოეხმაურენ მოსკოვის სტალინის რაიონის სტახანოველთა მოწოდებას და ჩაებნენ სტახანოვური რეკორდების სტალინურ დეკადაში. ბათუმის ნავთის მუშაკებმა იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი და დასდეს პირობა, რომ 12 დეკემბრისათვის საწარმოო გეგმას გადაჭარბებით შეასრულებენ. საამქროებში, ბრიგადებში და ცალკეულ სტახანოველებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

№ 2 ქარხნის სტახანოველებმა ხარუნჯიმ, იოსელიანმა და ძნელაძემ იკისრეს ვალდებულება ცვლაში 158 ტონა პრესდესტილატის ნაცვლად გადაამუშაონ 186 ტონა — პრესდესტილატი. ჯენკლინის დაზგის სტახანოველებმა თედორე ბავევმა, სერგო მხითაროვმა და ალექსანდრე ზამბახიძემ იკისრეს ვალდებულება ცვლაში 44,5 ტონის ნაცვლად გადაამუშაონ 50 ტონა პრესდესტილატი.

რომ ღირსეულად ჩაატარონ სტალინური დეკადა № 3 ქარხანაში ნავთის პროდუქციის დახარისხებაზე მომუშავე სტახანოველებმა გერმანე სიხარულიძემ, აკაკი მელაძემ, კაკალ-ოღლიმ და სხვებმა იკისრეს თავის დროზე და შეუფერხებლივ მიაწოდონ ქარხნებს დახარისხებული პროდუქცია, იბრძოლონ დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანისათვის.

სტახანოვური რეკორდების სტალინური დეკადა

პირველ დეკემბერს სოციალისტური ქვეყნის ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიონის სტახანოველთა ინიციატივით დაიწყო სტახანოვური რეკორდების სტალინური დეკადა.

1937 წლის 19 ნოემბერს მოსკოვის სტალინის რაიონის საწარმოთა 1100 სტახანოველმა წერილით მიმართა ამხანაგ სტალინს. გამოსთქვამდნენ რა თავის ღრმა სიხარულს იმის გამო, რომ ამხანაგი სტალინი დასთანხმდა კენჭი იყაროს მათს საარჩევნო ოლქში, სტახანოველები სწერდნენ:

„უზომოდ ბედნიერნი ვართ ჩვენთვის გამოცხადებული ნდობით და ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ვუპასუხოთ ამას ენერგიული სტახანოვური მუშაობით".

სტახანოველებმა ფიცი მისცეს ამხანაგ სტალინს —მთელი ძალღონე იხმარონ იმისათვის, რომ არჩევნების ღირსშესანიშნავ დღეს—1937 წლის 12 დეკემბერს — შეხვდნენ ახალი საწარმოო გამარჯვებებით თვითეულ ქარხანაში, თვითეულ ფაბრიკაში.

დედაქალაქის სტალინის რაიონის საწარმოთა მოწინავე ადამიანების მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის ფაბრიკებსა და ქარხნებში. მოსკოვის, ლენინგრადის, ტაშკენტის, კიევის, მინსკის სტახანოველები, დონბასის მაღაროელები, ურალისა და კუზნეცკის მეტალურგები უდიდესი ენტუზიაზმით ჩაებნენ ბრძოლაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. მუშათა კლასის მოწინავე ადამიანთა ფიქრები და მისწრაფებანი მიმართულია იქითკენ, რათა სიხარულით აღსავსე წინასაარჩევნო დღეები აღნიშნონ ბრწყინვალე გამარჯვებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ამის შესახებ კარგად სთქვა საამქროში გამართულ კრებაზე მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტის" წარჩინებულმა მეფოლადემ ამხ. დრონიკოვმა: „სტალინის რაიონის სტახანოველებმა თავის გადაწყვეტილებაში ჩვენი აზრები და გრძნობები გამოხატეს. მართლაც, ასეთი საყოველთაო-სახალხო სიხარულის დღეებში სტახანოვური მუშაობის ახალი შესანიშნავი ნიმუშები უნდა ვაჩვენოთ".

სტახანოველების სიტყვა და საქმე ერთია! სტახანოვური რეკორდების სტალინური დეკადისათვის მზადება დიდ, ნამდვილ ხალხურ მოძრაობად გადაიქცა. მძიმე მრეწველობის მოწინავე ადამიანების კვალდაკვალ ამ შესანიშნავ მოძრაობაში ჩაებნენ მრეწველობის ყველა დარგის ახალი მრავალი ათეულათასი მუშები. უკვე დეკადის დაწყებამდე მოწინავე მუშებმა შრომის მაღალი ნაყოფიერების დღემდე არნახული ნიმუშები გვიჩვენეს. ახლა კი, როდესაც დეკადა დაიწყო, შემოქმედებითი აღმავლობა ედება მუშათა და მუშა-ქალთა მთელ მასას, და ერთეულთა რეკორდების გვერდით მუშაობის სტახანოვურ ნიმუშებს გვიჩვენებენ მთელი ბრიგადები, ცვლები და საამქროებიც კი.

მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტში" დეკადის პირველ დღეს მიღწეულია ფოლადის განსაკუთრებით მაღალი გამოდნობა: გეგმით დავალებული 894 ტონის ნაცვლად ქარხნის მარტენის საამქროებმა 1039 ტონა ფოლადი გამოადნეს. მოლოტოვის სახელობის ავტოქარხანაში, ქ. გორკში, პირველ დეკემბერს კონვეიერიდან ჩამოუშვეს 470 სატვირთო მანქანა და 100 მსუბუქი „მ—1". მსუბუქი მანქანების ასეთი გამოშვება ქარხანაში ჯერ კიდევ არ ყოფილა. ქარხანა „კრასნოე სორმოვოში" სტახანოველ კალმიკოვის ბრიგადამ ერთ ცვლაში წვრილხარისხულ დაზგაზე გაგლინა 53 ტონა ლითონი, მაშინ, როდესაც ნორმა 27 ტონას უდრის. მარტო ერთ დღეს—2 დეკემბერს „კრასნოე სორმოვოში" დამყარებულია 64 რეკორდი, ცალკეული მუშების შრომის ნაყოფიერება დღიური დავალების 200-დან 600-მდე პროცენტს შეადგენს. იაროსლავლის სამუხრუჭე ქარხანაში ხარატმა სტახანოველმა არტემიევმა გადამრთავი სარქვლის ბურთულების დამუშავებაზე დღიური ნორმა 1085 პროცენტით შეასრულა. შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდებას იტყობინებიან ლენინგრადის ქარხნებიდან, მოსკოვსმახლობელი ქვანახშირის ბასეინიდან, კრივოიროგიდან, მაგნიტოგორსკიდან და კიევიდან, დნეპროპეტროვსკიდან და დონისროსტოვიდან, რკინიგზების ხაზებიდან და ა. შ. მუშათა კლასის მამაცი შვილები, მტკიცედ დარაზმულნი პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ამხანაგ სტალინის ირგვლივ, აღსავსენი არიან მხურვალე მისწრაფებით — ყოველნაირად განამტკიცონ ჩვენი სამშობლოს სიძლიერე. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა კარგად იცის, რომ ფაბრიკებისა და ქარხნების პროდუქციის გადიდება, ქვანახშირის, ნავთისა და მადნის მოპოვების ზრდა სსრ კავშირში მთელი ხალხის კეთილდღეობას ხმარდება.

ბრწყინვალე მაგალითს გვიჩვენებს ქვანახშირის მრეწველობა და განსაკუთრებით დონბასის მაღაროელები, სადაც, როგორც ცნობილია, ჩაისახა სტახანოვური მოძრაობა. 28 ოქტომბერს მეტალურგთა და ქვანახშირის მუშაკთა მიღებისას ამხანაგმა სტალინმა სთქვა, რომ მრეწველობის ძირითად დარგებში —ქვანახშირისა და ლითონის დარგებში — უნდა გადავლახოთ ზოგიერთი სიძნელენი ახალი აღმავლობის წინ. არჩევნებისათვის მზადებით, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ წარჩინებულ მეტალურგთა და ქვანახშირის მუშაკთა მიღებით გამოწვეულმა აღფრთოვანებამ დარაზმა მასები ამ სიძნელეთა გადასალახავად. მთელი ჩვენი ქვეყნის თვალწინ დონბასის ქვანახშირის მუშებს სტალინელი სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით წარმატებით მიაქვთ იერიში შრომის ნაყოფიერების მწვერვალებზე.

„დღეს კაპიტალიზმთან მთავარი შეჯიბრება მიმდინარეობს სამეურნეო სფეროში, — სთქვა ამხანაგმა მოლოტოვმა თავის ბრწყინვალე მოხსენებაში 1937 წლის 6 ნოემბერს დიდ თეატრში გამართულ საზეიმო სხდომაზე, — და ამიტომ მთავარ კრიტერიუმს (საზომს) ამ შეჯიბრებაში შრომის ნაყოფიერება წარმოადგენს". ეს აზრი სულ უფრო და უფრო გასაგები და მახლობელი ხდება მუშათა ფართო მასებისათვის, რომლებიც მუშაობენ ჩვენს ახალ და რეკონსტრუირებულ, პირველხარისხოვანი ტექნიკით შეიარაღებულ საწარმოებში. თვით ამ ტექნიკის დაუფლების პროცესმა დიდი წარმატებები მოიპოვა, გაიზარდნენ კადრები, და აქედან ის პრაქტიკული დასკვნა გამოდის, რომელიც იმავე მოხსენებაში ჩამოაყალიბა ამხ. მოლოტოვმა: „ჩვენში სოციალისტურად მუშაობს მხოლოდ ის ქარხანა, რომელიც იძლევა კარგ პროდუქციას არა ნაკლებს არამედ მეტს, ვიდრე ასეთივე ქარხანა სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ".

შესაძლებლობანი ამისათვის დიდი გვაქვს. წარმოების საბჭოთა მეთაურების რიგები განმტკიცებულია ახალი, გამოჩენილი, ნიჭიერი ხელმძღვანელებით, რომელნიც ერთგულნი არიან ლენინ-სტალინის საქმისა, აღჭურვილნი არიან ხალხის ნდობით. ყოველივე ეს ხელსაყრელ ვითარებას ჰქმნის მრეწველობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მავნებლური ელემენტების ნაშთების ულმობელი აღმოფხვრა წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის აუცილებელ პირობას.

წარმოების მეთაურთა მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ სტახანოვური მოძრაობის ახალ აზვირთებას, კიდევ უფრო მჭიდროდ განამტკიცონ თავისი კავშირი მუშათა მასებთან. ინჟინერ-ტექნიკოსმა მუშაკებმა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარებით უნდა მიაღწიონ სანიმუშო დისციპლინის დამყარებას ქარხნებში, საამქროებში, მაღაროებში, უზრუნველჰყონ მკაფიო საწარმოო დაგეგმვა, ოპერატიულად უხელმძღვანელონ საწარმოთა მთელ მუშაობას.

სამეურნეო მუშაკთა, პარტიულ და პროფკავშირულ ხელმძღვანელთა ღირსების საქმეა უზრუნველჰყონ სტახანოვური მოძრაობის შემდგომი ზრდა, ზრდა როგორც სიღრმით, ისე სიგანით. უნდა გვახსოვდეს, რომ თვითეული დამკვრელი ხვალინდელი სტახანოველია, და თვითეული მუშა-ხვალინდელი დამკვრელი. განუწყვეტლივ ხდება მუშათა კლასის მოწინავეთა რიგების შევსება. ამჟამად, მაღალი პოლიტიკური აღფრთოვანების მომენტში, რომელიც მთელ საბჭოთა ხალხს მოედო, თვითეულს სურს გვიჩვენოს თავის საწარმოში სოციალისტური შრომის ნიმუშები, ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღბეჭდოს თავისი ენტუზიაზმი, თავისი მჭიდრო ერთიანობა პარტიასთან და მთავრობასთან. ამის საუკეთესო დამადასტურებელია სტახანოვური რეკორდების სტალინური დეკადა, რომელიც გამოაცხადეს წითელი დედაქალაქის სტალინის რაიონის მოწინავე მუშებმა. სტახანოვური რეკორდების სტალინური დეკადა მკაფიოდ ასახავს მთელი ჩვენი ხალხის უდიდეს შემოქმედებითს სიხარულს, ხალხისა, რომელიც მტკიცე რწმენით ეგებება ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევნებს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე.

მუშათა მასების მაღალი აღფრთოვანება საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა განამტკიცონ ტექნოლოგიური პროცესის ყოველნაირად გაუმჯობესებით, მუშებისათვის ყოველივე იმის მიწოდებით, რაც აუცილებელია შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სტახანოვური რეკორდების სტალინური დეკადა ხელს შეუწყობს ახალ შესანიშნავ ნიჭიერ ადამიანთა გამოვლინებას, კიდევ უფრო აამაღლებს მშრომელი მასების შემოქმედებითს ენტუზიაზმს, გადაუშლის სახალხო მეურნეობის ყველა დარგს ხალხის კეთილდღეობისათვის, სამშობლოს ბედნიერებისათვის კიდევ მეტი აყვავების სასიხარულო პერსპექტივებს.

„პრავდის" მოწინავე 3/XII.

მთელ საქართველოში დიდი აღმავლობით ჩარდება წინასაარჩევნო მიტინგები

ბათუმის ამომრჩევლები ხვდებიან თავის კანდიდატებს

ბათუმი, 1 დეკემბერი (საქდესი). ბათუმის საარჩევნო უბნებსა და ოლქებში იმართება მრავალრიცხოვანი წინასაარჩევნო კრებები. აგიტატორები, პროპაგანდისტები და რწმუნებული პირები აქტიურ აგიტაციას ეწევიან იმ კანდიდატებისათვის, რომლებიც ბათუმის მშრომელებმა წამოაყენეს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში.

ბათუმის ამომრჩევლები წინასაარჩევნო კრებებზე გულთბილად შეხვდნენ თავის კანდიდატებს: კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ისმაილ ფუტკარაძეს, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს გიორგი სტურუას, აჭარის ასს რესპუბლიკიდან ეროვნებათა საბჭოში წამოყენებულ კანდიდატებს: იოსებ კოჭლამაზაშვილს, ვსევოლოდ მერკულოვს, ვაგან გრიგორიანს, ნიკოლოზ რუხაძეს.

ცოცხლად ჩატარდა ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების მუშათა მრავალრიცხოვანი წინასაარჩევნო კრება, რომელზედაც ისინი შეხვდნენ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს: საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს გიორგი სტურუას და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელს ნიკოლოზ რუხაძეს.

ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების სტახანოველები და ინჟინრები დამსწრეთ უამბობდნენ, თუ როგორ აქტიურად ემზადებიან ამომრჩევლები 12 დეკემბრისათვის. ნავთსახდელი ქარხნების სტახანოველები ამხ. მელაძე, კორსუნსკი, ფალავა, არეფიევი და სხვ. ლაპარაკობდნენ იმ დიად გამარჯვებებზე, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა მოიპოვეს ამხანაგი სტალინის გენიალური წინამძღოლობით, საქართველოს და მისი განუყოფელი ნაწილის—აჭარის წარმატებებზე, იმ აჭარისა, რომელიც პარტიის ერთერთი საუკეთესო შვილის, ქართველი ხალხის ერთგული შვილის ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით აყვავებულ თავისუფალ მხარედ გადაიქცა.

კრებაზე გამოვიდნენ ამხ. გ. სტურუა და ნ. რუხაძე.

ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების მუშები კარგად იცნობენ უძველეს ბოლშევიკს—არალეგალურ მუშაკს გიორგი სტურუას. ისინი იცნობენ ლენინ-სტალინის საქმისათვის ამ თავდადებული მებრძოლის შესანიშნავ ბიოგრაფიას.

ბათუმის მუშები იცნობენ აგრეთვე ნიკოლოზ რუხაძეს. მას იცნობენ, როგორც მტკიცე ბოლშევიკს, როგორც ხალხის მტრებთან შეურიგებელ მებრძოლს, რომელიც დიდხანს მუშაობდა სახელმწიფო პოლიტსამმართველოს — შინსახკომის ორგანოებში.

ამომრჩეველთა აზრი ამ კანდიდატებზე ერთსულოვანია: ეს ადამიანები აჭარის მშრომელთა ღირსეული წარმომადგენლები იქნებიან სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში.

* * *

ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივის საერთო კრებაზე გამოვიდა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი აჭარის ასს რესპუბლიკიდან, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი ამხ. გრიგორიანი. მეტად გულთბილად ლაპარაკობდნენ თავის კანდიდატზე მუშები, მუშა-ქალები და საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები.

— ვაგან გრიგოლის-ძე გრიგორიანი, ამბობდნენ ისინი, „ზარია ვოსტოკაში" სანიმუშო მუშაობისათვის სსრ კავშირის ცაკის დადგენილებით დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

კრებაზე გამოსულნი აცხადებდნენ, რომ ამომრჩევლები თავის ხმას მისცემენ ამხ. გრიგორიანს, მებრძოლ ჟურნალისტ-ბოლშევიკს, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს.

* * *

განსაკუთრებით აქტიურად ჩატარდა წინასაარჩევნო კრებები ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის—შაუმიანის საარჩევნო ოლქის უბნებში. ამ კრებებზე თავის ამომრჩევლებს შეხვდნენ: ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი აჭარის ასს რესპუბლიკიდან, საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი იოსებ კოჭლამაზაშვილი და კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი—აჭარის ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელი ისმაილ ფუტკარაძე.

კრებაზე გამოსული ბათუმის საწარმოთა სტახანოველები, პედაგოგები, დიასახლისები ამხ. კოჭლამაზაშვილსა და ფუტკარაძეს ახასიათებენ როგორც ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის ერთგულ მებრძოლებს, მტკიცე კომუნისტებს, რომლებმაც პარტიისადმი, ხალხისა და ქვეყნისადმი ერთგულებით მშრომელთა ნდობა მოიპოვეს.

ბათუმელი მუშა-ზეინკალი იოსებ კოჭლამაზაშვილი და აჭარელი გლეხი, ყოფილი მოჯამაგირე ისმაილ ფუტკარაძე მშრომელთა ხორცხორცთაგანნი არიან, და მათ დამსახურებისამებრ აღჭურავს აჭარის ხალხი უდიდესი ნდობით, გზავნის რა თავის წარმომადგენლებად სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში—ასეთი იყო საერთო აზრი იმისა, რაც თავის კანდიდატებზე სთქვეს მანქანათმშენებელი ქარხნების სტახანოველმა ზეიძემ, პედაგოგებმა არუთინიანმა, ნიკოლაევამ, კომკავშირელმა, მე-10 კლასის მოწაფემ ლისტმანმა, დიასახლისმა ტოროტაძემ.

* * *

უღრმეს მადლობას ვუცხადებ იმათ, ვინც ესოდენ მაღალი ნდობა გამოიჩინეს ჩემს მიმართ და წამოაყენეს ჩემი კანდიდატურა უზენაეს საბჭოს დეპუტატობაზე, — სთქვა თავის გამოსვლაში ამხ. კოჭლამაზაშვილმა. მე ვიმუშავებ ჩვენი საერთო საქმისათვის, როგორც ბოლშევიკების დიადი პარტიის წევრი, როგორც ხალხისა და სამშობლოს ერთგული შვილი. ვიბრძოლებ ჩვენი პარტიის რიგების სიწმინდისათვის, აჭარის შემდგომი გაფურჩქვნისათვის. მე მთელი ენერგიით ვიბრძოლებ იმ ბედნიერი ცხოვრების შემდგომი გაფურჩქვნისათვის, რომელიც ჩვენ მოგვცა ხალხთა გენიალურმა ბელადმა დიდმა სტალინმა, აჭარის შემდგომი წინსვლისათვის საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ხელმძღვანელის ამხანაგ **ლ. ბერიას** წინამძღოლობით.

ასევე გულთბილად შეხვდნენ ამომრჩევლები კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ამხ. ფუტკარაძის გამოსვლას.

წინასაარჩევნო კრებები ბათუმში და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრა გადაიქცა საყვარელი დიდი ბელადის, მამისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულის მძლავრ დემონსტრაციად.

ნდობით აღჭურვილი პირი უბანში არ გამოცხადებულა

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-4 საარჩევნო უბანში საგიტაციო - პროპაგანდისტული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას.

რაიკომის მიერ გამოყოფილი აგიტატორები უბანში გამოცხადდნენ, მაგრამ უბნის ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. ივ. არჩვაძე აქამდე არ სჩანს.

აგიტატორები საჭიროებენ დახმარებას, მეთოდურ მითითებებს, მაგრამ იმის გამო, რომ ნდობით აღჭურვილი პირი უბანში აქამდე არ გამოცხადებულა, მუშაობა ფერხდება.

აგიტატორი ირ. მახათაძე.



1. თბილისის მე-44 საარჩევნო უბანთან შექმნილია მტკიცე აქტივი, რომელიც [illegible] ამომრჩეველთა [illegible] და [illegible] სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებს. [illegible]

ფოტო [illegible] („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

25 ნოემბერს სოფ. იყალთოში (თელავის რაიონი) მოხდა თელავის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საზეიმო შეხვედრა მათ მიერ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებულ ორდენოსან კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელთან და პროფ. ნ. მუსხელიშვილთან. სურათზე: ამომრჩეველთა საერთო წინასაარჩევნო კრება. შუაში ორდენოსანი რეჟისორი ჭიაურელი და პროფ. მუსხელიშვილი.

ფოტო ტორისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

სანიმუშო საარჩევნო უბანი საავადმყოფოში

ჩინებულად ემზადებიან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის თბილისის რკინიგზის საავადმყოფოსთან არსებულ საარჩევნო უბანში. ამ მზადებაში სჩანს სიყვარულით აღსავსე, გულმოდგინე ზრუნვა ავადმყოფ ამომრჩევლებზე.

საუბნო კომისიის სადგომი კარგად არის მოწყობილი და გაფორმებული. რბილი, მოხერხებული ავეჯი, ყვავილები, პალმები, ლოზუნგები და პლაკატები ამშვენებენ მოსაცდელ დარბაზს.

საუბნო კომისიის მუშაობა ეწყობა მატარებელთა საარჩევნო საუბნო კომისიების მუშაობის მსგავსად. არჩევნების დღეს გამოჰყოფენ 5 პატარა მოსაცდელ დარბაზის მომიჯნავე ოთახს კაბინებისათვის, სადაც ავადმყოფი ამომრჩეველი შეავსებს თავის საარჩევნო ბიულეტენს. იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით არჩევნების დღეს ვერ შესძლებენ ადგომას, მოეწყობა მოძრავი კაბინა, სადაც მოთავსდება საწოლი ავადმყოფით.

საავადმყოფოს ყველა განყოფილება მომარაგებულია ლოზუნგებით, პლაკატებით, ლიტერატურით. ავადმყოფები კარგად იცნობენ თავის კანდიდატებს უზენაესი საბჭოს დეპუტატობაზე თავისი ოლქებიდან—ამხ. ლ. პ. ბერიას და ა. ვ. წიკლაურს.

საავადმყოფოს საარჩევნო უბანზე მიმაგრებულმა 7 აგიტატორმა დაწვრილებით გააცნეს ავადმყოფთ მათი კანდიდატების ცხოვრება და მოღვაწეობა.

საუბნო საარჩევნო კომისიამ უკვე გამოარკვია, რომ არჩევნების დღეს—12 დეკემბერს საავადმყოფოში დარჩება დაახლოებით 70 ავადმყოფი. ამასთან დაკავშირებით კომისიამ სათანადო საბჭოებს მიმართა მოთხოვნით გამოგზავნონ ავადმყოფთათვის ხმის მიცემის უფლების მოწმობები.

გულმოდგინე მზადება სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს არჩევნებისათვის იმის საწინდარია, რომ არჩევნების დღეს ყველა ავადმყოფი, მძიმე ავადმყოფთა გამოკლებით, მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში.

ხუთი-ათასიანი წინასაარჩევნო რაიონული კრება ქ. ახალციხეში

ახალციხე, 2 დეკემბერი (საქდესი). ქ. ახალციხე სადღესასწაულოდ არის მორთული. 1 დეკემბერს სარაიონო წინასაარჩევნო კრებაზე მოვიდნენ ქალაქის ათასობით მშრომელნი, კოლმეურნეები რაიონის მრავალი სოფლიდან.

მხურვალე მისალმებებით შეხვდნენ დამსწრენი ახალციხის № 114 საარჩევნო ოლქიდან ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე **დეკანოზოვის** გამოჩენას.

5 ათასიან წინასაარჩევნო კრებაზე გამოსულმა ახალციხის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ავეტისოვმა, პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. კირვალიძემ, ამხ. შეპუროვმა (წითელი არმიიდან), ამხ. იბრაგიმოვმა (ძერჟინსკის სახ. კოლმეურნეობა) და სხვებმა ილაპარაკეს იმ გამარჯვებებზე, რომლებიც მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა ლენინ-სტალინის პარტიის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, ილაპარაკეს ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს მიღწევებზე, რომელიც დიდი სტალინის ერთგული მოწაფის ამხანაგ **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით სსრ კავშირის მოწინავე რესპუბლიკების რიგებში ჩადგა.

გამოსულმა ამხანაგებმა ერთსულოვნად მოიწონეს ამხ. ვ. გ. დეკანოზოვის კანდიდატურა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე.

ტრიბუნაზე გამოდის ამხ. **ვ. გ. დეკანოზოვი**, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

თავის სიტყვაში ამხ. დეკანოზოვმა მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს მისთვის გამოცხადებული მაღალი ნდობისათვის. ამხ. დეკანოზოვმა მკაფიოდ დაახასიათა ჩვენი თვალუწვდენელი მძლავრი ქვეყნის უდიდესი მონაპოვარნი, მიღწეულნი დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით. დასასრულ ამხ. დეკანოზოვმა სიტყვა მისცა თავის ამომრჩევლებს, რომ იგი არ დაზოგავს თავის ძალღონეს დიადი სამშობლოს მშრომელთა კეთილდღეობისათვის ბრძოლაში, კვლავაც დაუზოგავად იბრძოლებს ხალხის საზიზღარი მტრების წინააღმდეგ.

— გაუმარჯოს სოციალიზმის უდიდეს გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედს, ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს!**

ამხ. დეკანოზოვის ეს დასკვნითი სიტყვები მქუხარე ტაშით დაიფარა, გაისმის მისალმების შეძახილები მშრომელთა მამისა და მეგობრის, დიდი სტალინის მიმართ, საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ხელმძღვანელის ამხანაგ **ლ. ბერიას** მიმართ.

საარჩევნო უბნები მოუმზადებელია

(გორი, 27 ნოემბერი „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის სამზადისი გორის რაიონში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. დაახლოვებით 46.983 ამომრჩევლიდან დებულების შემსწავლელ წრეებში ჩაბმულია 40 ათასამდე. სადაც წრეებია ჩამოყალიბებული, იქაც ბევრგან მეცადინეობა დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს. სოფ. ქორდში 19 წრიდან დებულებას აქამდე მხოლოდ ერთი წრე სწავლობდა, ხოლო სოფელ კირბალში 200 ამომრჩეველი ორ წრეში გააერთიანეს. ახალსოფლის მტს-ში, სადაც 11 ბრიგადაა, დებულების შემსწავლელი წრე აქამდე ქაღალდზე იყო, არ ჰყავდათ დამტკიცებული პროპაგანდისტი და არც მეცადინეობა ჩაუტარებიათ. რუსი ამხანაგები, რომლებმაც ქართული არ იციან, დღესაც წრის გარეშე არიან. გარდა ამისა, ქვემო-ახალსოფლის საარჩევნო უბანში მტს-ის 42 თანამშრომელი 24 ნოემბრამდე ამომრჩეველთა სიაში არ შეუტანიათ.

კომისიას (თავმჯდომარე—გ. მაზმიშვილი) არა აქვს რიგიანი ბინა, რომ წრემ იმეცადინოს. ბერბუკის საარჩევნო უბანში, გარდა იმისა, რომ ამომრჩეველთა სიაში ბევრია გამოტოვებული, ვინც არის, მათაც ბევრს დაუმახინჯეს გვარი, სახელი და მამის სახელი. 1919 წელს დაბადებულთ არ ჩაუწერეს თვეები და რიცხვი, ამავე დროს, ამომრჩეველთა შორის ჩასწერეს 16 წლის სურენ გიგაური. საარჩევნო კომისიის შენობა მოუწყობელია, არ არის ლოზუნგები და პლაკატები, არც არავითარი წარწერა, თუ სად და როდის მუშაობს საარჩევნო კომისია. არ გამოდის კედლის გაზეთი, იშვიათად იღებენ რაიონულ და ცენტრალურ გაზეთებს. არ სწარმოებს გაზეთების ხმამაღალი კითხვა და შესაფერი კონსულტაცია. ამ უბანში 27 ცალი რადიომიმღებია, მაგრამ არცერთი არ მუშაობს. ფონისის საარჩევნო უბანში კომისიის მდივნად ისეთი კაცი გამოჰყვეს, რომელსაც წერაც არ ეხერხება, ხოლო საყავრესა და ზედაში ნდობით აღჭურვილი პირები აქამდე არ გამოცხადებულან.

დასახელებული სასოფლო საბჭოები და საარჩევნო უბნები გამონაკლისი როდია. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა თვით ქალაქ გორშიაც. მე-5 საარჩევნო უბანში (თავმჯდომარე—ს. კიკნაძე) სიები დამახინჯებულია და არც სწორად არის გაკრული. დაბადების წლები არეულია (1917 წლის მაგიერ სწერია 1919, 1889-ის მაგიერ 1890 და სხვ.), 1919 წელს დაბადებულებს არცერთს არ უწერია თვე და რიცხვი. გ. გოცირიძეს სრულიად არ უწერია დაბადების წელი, 6 კაცს—მამის სახელი, ხოლო ამავე დროს სიაში შეტანილი ჰყავთ პატიმარი შ. გიუნაშვილი. დამახასიათებელია, რომ მე-5 უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ირ. მურმანიძე და წევრები: ნ. ხუგაევი, ნ. ბერუაშვილი, გ. შერმადინი და შ. მთვარელიძე აქამდე თითქმის ერთხელაც არ გამოცხადებულან საარჩევნო კომისიაში, ამის გამო მორიგეობაც მოუწესრიგებელი აქვთ (14 წევრიდან 2—3 მორიგეობს). ასევე უმოქმედობას იჩენენ საბჭოს წევრები — გ. მაღალაშვილი, ს. მურადოვი, ხოლო ნდობით აღჭურვილი ნ. ორაგველიძე კომისიაში 2—3 წუთით თუ შემოივლის და ისიც იშვიათად. ასევე იქცევა ლეგიონიდან მომაგრებული ა. ფცქიალაძე—მოვა, დაათვალიერებს და წავა. მოუწესრიგებელია არჩევნების დებულების შემსწავლელი წრის მეცადინეობა — 130 რუს ამომრჩეველს არავინ ამეცადინებს, ხოლო ამავე დროს არავინ იცის, თუ დანარჩენ ამომრჩეველთათვის მოწყობილ 11 წრეში (სულ სიაში 1033 ამომრჩეველია) რას და როგორ სწავლიან, მეცადინეობისათვის არც დღე აქვთ დაწესებული და არც ადგილი.

— როგორი უნდა იყოს დარბაზის კეთილმოწყობა, როცა აქ ყოველდღე სასამართლოს პროცესი მიმდინარეობს—აცხადებენ საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელნი. ამ „მოტივით" დღემდე აქ არ გაუკრავთ არცერთი ლოზუნგი, არც პლაკატი, ხოლო კომისიას მიჩნეული აქვს მეტისმეტად ვიწრო, პატარა ოთახი ანუ საკუჭნაო, სადაც 4—5 კაცზე მეტი ვერ გაჩერდება და ისიც იშვიათად, რადგან, როცა სასამართლო შემოდის განაჩენის გამოსატანად, კომისია ვალდებულია ეს ოთახიც დასტოვოს.

საარჩევნო უბნებში არსებულ დეფექტებს მეტად უწყობს ხელს თვით საოლქო საარჩევნო კომისიის სუსტი, უპასუხისმგებლო მუშაობა. კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის წევრები: სად. ქელეხსაევი, დ. კოჩაევა და გ. ნოზაძე, აგრეთვე ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის წევრები—ბეგლარაშვილი, ივ. მელიქიშვილი და ივ. გიჯაძე ჯერ თითქმის ერთხელაც არ მოსულან კომისიაში სამუშაოდ. იშვიათად იმართება თათბირები, კრებები. ადგილებს საჭირო კონტროლსა და დახმარებას არ უწევენ. ერთი სიტყვით, თუ გორის რაიონში ასეთი „ტემპებით" განაგრძეს მუშაობა, არჩევნებისათვის სამზადისი აქ სამარცხვინოდ ჩაიშლება.

ტრ. თოდრაძე

ჩვენ ხმას მივცემთ წარჩინებულ კოლმეურნე-ქალს ნინა სიმონის-ასულ ბირკაძეს

ბორჯომი, 28 ნოემბერი (საქდესი). ბორჯომის ლ. ბერიას სახელობის კულტურის სახლში შესდგა ბორჯომის რაიონის მშრომელთა წინასაარჩევნო კრება.

დაძაბული ყურადღებით უსმენენ დამსწრენი გამოსულ ორატორებს. თავის სიტყვებში ბორჯომის საწარმოთა მოწინავე მუშები-სტახანოველები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები ლაპარაკობენ საბჭოების ქვეყნის უდიდეს გამარჯვებებზე, რომლებიც მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიის, მისი ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

— ახლოვდება 12 დეკემბერი, ჩვენთვის ყველაზე უფრო ბედნიერი დღე,—სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე,—ამბობს ბორჯომის დეპოს მუშა ამხ. ბლუაშვილი.—ამ დღეს ჩვენ ხმას მივცემთ ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგულებს. ჩვენ ხმას მივცემთ მტკიცე ბოლშევიკს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს **ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე კუიბიშევს**, რომლის კანდიდატურაც რეგისტრაციაში გაატარა კავშირის საბჭოს არჩევნების ბორჯომის საოლქო საარჩევნო კომისიამ. ჩვენ ხმას მივცემთ ტეზერის კოლმეურნეობის წარჩინებულ კოლმეურნე-ქალს **ნინო სიმონის-ასულ ბირკაძეს**, რომელიც ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი,—ამბობს ბორჯომის სატკეპნე ქარხნის მუშა ამხ. რამიშვილი,—დიდი სიხარულით მისცემს ხმას ამხ. კუიბიშევს და ბირკაძეს. ისინი სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოს ღირსეული დეპუტატები იქნებიან.

მხურვალე მისალმებებით შეხვდნენ მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები მათ მიერ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ ნინო სიმონის-ასულ ბირკაძეს, რომელიც გამოვიდა კრებაზე უბრალო, გულისამძვრელი სიტყვით.

— ჩემი ბავშვობა მძიმე იყო, — ამბობს ამხ. **ბირკაძე**. — ბავშვობიდანვე მომიხდა აუტანელი შრომის ტვირთი მეკისრნა, რათა დავხმარებოდი ჩემი მშობლების მრავალბავშვიან ოჯახს. ბავშვობის წლებში იმის შესაძლებლობაც კი არ მქონდა, რომ სკოლაში შევსულიყავი. არ ძალმიძს შევადარო ჩემი წარსული ცხოვრება იმ ცხოვრებას, რომელიც ამჟამად მაქვს მე ჩვენი კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის" სხვა კოლმეურნეებთან ერთად, საბჭოების ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად. 1928 წელს სოფელ ტეზერში მოეწყო კოლმეურნეობა. მე ერთერთი პირველი შევედი ამ კოლმეურნეობაში. მახსოვდა რა ჩვენი პარტიისა და დიდი ბელადის და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მითითებანი, მე ვცდილობდი ისე მემუშავნა, რომ ჩვენი კოლმეურნეობა პირველ რიგებში ჩამდგარიყო, რომ კოლმეურნეებს მოეპოვებიათ ბედნიერი, შეძლებული ცხოვრება, და ჩვენ ამას მივაღწიეთ. ვიტყვი ჩემს თავზე. შარშან ჩვენს კოლმეურნეობაში გამოვიმუშავე 160 შრომადღე, წელს კი 250 შრომადღე მექნება. ჩემი ოჯახი დოვლათით არის სავსე. ჩემი შვილები სწავლობენ, ცხოვრობენ უზრუნველად, რაზედაც მე ოცნებაც კი არ შემეძლო ჩემს ბავშვობაში.

მე მადლობას ვუცხადებ ჩემს ამომრჩევლებს იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს ჩემს მიმართ, წამომაყენეს რა უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

— გაუმარჯოს ჩვენს დიად ბედნიერ სამშობლოს!

— გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან პარტიას და მის გენიალურ ბელადს ამხანაგ სტალინს!

— გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ ხელმძღვანელს ამხანაგ ბერიას!

[illegible] შემდგარ [illegible]

(ფოთი, 29 ნოემბერი. ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

ფოთის ქალაქის საბჭომ დროულად ვერ გაითვალისწინა ამომრჩეველთა სიების სწორად შედგენის მნიშვნელობა. ამის გამო საარჩევნო სიებში ამომრჩევლები ახლაც მრავალ შეცდომასა და დამახინჯებას პოულობენ. საქალაქო და სასოფლო საბჭოებში ყოველდღე აუარებელი საჩივარი შემოდის. საარჩევნო სიები ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული.

უნდა გვეფიქრნა, რომ საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომისა და ქალაქის საბჭოს ორგანო, გაზეთი „მგზნებარე კოლხიდელი" (პასუხისმგებელი რედაქტორი — ამხ. გრ. ვაჩაძე) ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდა, როგორც ქალაქის საბჭოს, ისე ამომრჩევლებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში დაეხმარებოდა. მაგრამ ეს ასე არ ხდება. პირიქით, გაზეთი არასწორ ორიენტაციას აძლევს თავის მკითხველებს, იგი დაუმსახურებლად „ამათრახებს" ზოგიერთ საუბნო საარჩევნო კომისიას. მაგალითად, გაზეთის 28 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია ნ. არჩაიძის კორესპონდენცია ახალსოფლის საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობის შესახებ. კორესპონდენტს არ ესმის, რომ ამომრჩეველთა სიების შედგენისათვის პირველ რიგში პასუხისმგებელია საბჭო, და სწერს: „აღსანიშნავია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიას ჯერ კიდევ არა აქვს გამოსწორებული ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომები".

ჩვენ არაფერს ვიტყოდით, რომ ეს მარტო ამ მისამართშეშლილი კორესპონდენტის აზრი იყოს. საქმე ის არის, რომ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების ამ საწინააღმდეგო მითითებას გაზეთი უფრო „ნათლად" და კატეგორიულად 29 ნოემბრის მოწინავე სტატიაში იძლევა.

გაზეთი, თავისებურად ამათრახებს რა ნავსადგურისა და რკინიგზის საუბნო საარჩევნო კომისიას, სწერს: „მარტო ის ფაქტი, რომ რკინიგზის მუშათა მხოლოდ ერთ საერთო საცხოვრებელში სიიდან გამორჩათ ასამდე ამომრჩეველი, ლაპარაკობს იმაზე, რომ ნავსადგურისა და რკინიგზის საუბნო საარჩევნო კომისია არასერიოზულად მოეკიდა ამომრჩეველთა სიების—ამ სახელმწიფოებრივი დოკუმენტის შედგენის საქმეს". როგორც სჩანს, ფოთის სარაიონო გაზეთი საბჭოებს ანთავისუფლებს მათზე დაკისრებული მოვალეობისაგან.

უკომენტარიოდაც ნათელია. გაზეთის მუშაკები, ვერ ერკვევიან რა უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებაში, უწყალოდ ურევენ ერთმანეთში სასოფლო საბჭოებისა და საარჩევნო კომისიების ამოცანებს.

შ. ჯიქია

ახალგაზრდა ამომრჩეველთა წინასაარჩევნო თათბირი ბორჯომში

ბორჯომი, 2 დეკემბერი (საქდესი). ბორჯომის რაიონის ორ ათასზე მეტმა ახალგაზრდა ამომრჩეველმა 1 დეკემბერს გვიჩვენა თავისი მზადყოფნა—სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღეს—12 დეკემბერს—მისცეს თავისი ხმა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს, რომელთაც დაამტკიცეს ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი.

სტადიონი, სადაც წინასაარჩევნო თათბირი მიმდინარეობდა, ხალხით იყო გაჭედილი.

ახალგაზრდა ამომრჩევლები მქუხარე ოვაციით შეხვდნენ თავის კანდიდატს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე—ამხ. **ნინო სიმონის-ასულ ბირკაძეს**.

თათბირზე გამოვიდა პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. კუხალეიშვილი.

ამხ. კუხალეიშვილი დაწვრილებით შეჩერდა ბორჯომისა და ხაშურის საარჩევნო ოლქებიდან უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულების—ამხ. **ნ. ვ. კუიბიშევის** და **ნ. ს. ბირკაძის** ბიოგრაფიებზე.

სიტყვა ეძლევა ნინო სიმონის-ასულ ბირკაძეს. მხურვალე მისალმებით შეხვდა ახალგაზრდობა თავის კანდიდატს.

— მე პირველი შევედი ჩვენს კოლმეურნეობაში,—სთქვა ამხ. ბირკაძემ.—იმ დღიდან ჩემი ცხოვრების მიზნად გახდა სანიმუშო შრომა კოლმეურნეობაში. ავითვისე რა შრომის სტახანოვური მეთოდები, დავიწყე ჩემი გეგმების 300 პროცენტით შესრულება. მაგრამ ამაზე არ შევჩერდები. მთელი ჩემი ცხოვრებითა და მუშაობით შევეცდები გავამართლო ამომრჩევლების ნდობა, რომლებმაც წამოაყენეს ჩემი კანდიდატურა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე.

მე და ჩემი შვილები დღეს ბედნიერად ვცხოვრობთ. ეს ცხოვრება ჩვენთვის უზრუნველჰყო ლენინ-სტალინის პარტიამ, ხალხთა საყვარელმა ბელადმა, მშობლიურმა **სტალინმა**.

გაუმარჯოს ჩვენს მამასა და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს!**

გაუმარჯოს მის ერთგულ მოწაფეს, საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ ხელმძღვანელს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას!**

ოვაციები დიდხანს არ სცხრება.

ტრიბუნაზე ადიან ამომრჩევლები—კომკავშირელები და კომკავშირელი-ქალები ამხ. ლომიძე, ო. პეტროსიანი, ვლადიმერ ჩხიკვაძე, ყველანი ერთხმად მხარს უჭერენ ამხ. ნ. ვ. კუიბიშევისა და ნ. ს. ბირკაძის კანდიდატურებს.

თათბირმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხანაგებს **სტალინსა** და **ბერიას**.

მეცხოველეობის დარგში მოქმედი კონტრრევოლუციურ-მავნებლური, ჯაშუშურ-საჯაშუშო ორგანიზაციის მონაწილეთა გასამართლება

2 დეკემბრის საღამოს სხდომა

2 დეკემბრის საღამოს სხდომაზე სასამართლომ განაგრძო ბრალდებულ გ. მახარაშვილის დაკითხვა. ბრალდებულმა უამბო სასამართლოს იმის შესახებ, თუ როგორ და რა მეთოდებით იზიდავდა იგი ახალ წევრებს კონტრრევოლუციურ - მავნებლურ ორგანიზაციაში და რა კონკრეტულ დავალებებს აძლევდა მათ. კერძოდ, მან ვრცლად ილაპარაკა ბრალდებულ ბასილიას მავნებლური საქმიანობის შესახებ.

ამხ. მ. ისაკაძე—მოახსენეთ სასამართლოს, რა იცით მავნებელთა იმ თათბირის შესახებ, სადაც მავნებელთა წინაშე მდგომ ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა თქვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი გურგენიძე.

მახარაშვილი—ეს თათბირი ლეგალურად იყო მოწვეული და მასზე გურგენიძემ გააკეთა მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაგვეშალნა ბრძოლა პირუტყვის დაავადების ვითომდა სალიკვიდაციოდ. ამ მოხსენებაში განმარტებული იყო, თუ რა წესით უნდა გვეწარმოებინა პირუტყვის წამლობა, რომ სენი კვლავ გავრცელებულიყო და გაძლიერებულიყო. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით კადრების საკითხს. ისეთ რაიონებში, სადაც მეცხოველეობის განვითარებას ფართო პერსპექტივები აქვს, გამოცდილ კადრებს არ ვგზავნიდით. მაგალითად, ზემო-სვანეთსა და ქვემო-სვანეთში არ გავგზავნეთ გამოცდილი ვეტექიმები, და ამნაირად ხელს ვუშლიდით ამ რაიონებში მეცხოველეობის განვითარებას.

თავმჯდომარე — თქვენ უმაღლესი განათლებით ხართ, უთუოდ ერკვევით საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკაში, იცით, რომ საბჭოთა მთავრობა სპეციალისტებს განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობა და თქვენც განსაკუთრებულ პატივისცემაში იყავით. რამ გაიძულათ, რომ მავნებლობა დაიწყეთ, რატომ ანადგურებდით სახელმწიფო ქონებას, გლეხების ქონებას, რატომ სჩადიოდით ამას?

მახარაშვილი — მართალი რომ გითხრათ, მე ეს მაიძულა შემდეგმა გარემოებამ: რაჭაში, სოფ. ბაჯში, მქონდა მამულები. მე აზნაური ვარ. მოვიდა საბჭოთა ხელისუფლება და ჩამომართვეს ეს მამულები. აქედან დაიბადა ჩემი სიძულვილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. და, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლება მე მძულდა, აშკარაა, მე მის წინააღმდეგ ბრძოლაც უნდა დამეწყო. ბრძოლის მეთოდად კი მავნებლობა და ჯაშუშობა ავირჩიე.

თავმჯდომარე—მაშ თქვენ გინდოდათ დაგემხოთ საბჭოთა ხელისუფლება იმიტომ, რომ თქვენი მამულები დაგებრუნებინათ?

მახარაშვილი—დიაღ, მე მინდოდა დამებრუნებინა ძველი დრო, აღმედგინა მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა, და, რა თქმა უნდა, ჩემს მამულებსაც დავიბრუნებდი.

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. ტალახაძე — კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ცენტრის წევრად თქვენ აგირჩიეს 1930 წლის დამლევიდან. როგორ აგირჩიეს, როგორც ფედერალისტების პარტიის წევრი ხომ არა?

მახარაშვილი—არა, მე ფედერალისტი მხოლოდ ორ თვეს ვიყავი, ისიც 1917 წელს. მე ამ ცენტრში ამირჩიეს მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლეთ საქართველოდან სხვა უკეთესი კანდიდატი ალბათ ვერ გამონახეს.

შემდეგ ბრალდებულმა მახარაშვილმა სასამართლოს უამბო თავისი წარსული, თუ სად მუშაობდა და როგორ ეწეოდა მავნებლობას.

ბრალდებულ ვლადიმერ ბასილიას დაკითხვა

თავმჯდომარე — სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ საბრალდებო დასკვნის ტექსტით გათვალისწინებულ დანაშაულობებში?

ბრალდებული ბასილია — სავსებით დამნაშავე ვარ. კონტრრევოლუციურ მავნებლურ მუშაობაში მიმიზიდა და ჩამაბა გალაქტიონ მახარაშვილმა. ეს იყო 1930 წლის ბოლოს. ერთხელ იგი შემოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ სოფლად, მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილებაა კოლექტივიზაციის გამო. მეც გამოვთქვი ჩემი აზრი და აღვნიშნე, კოლექტივიზაციის გატარება საქართველოში მიზანშეუწონელი და შემცდარია-მეთქი. მან ჩემი ასეთი განწყობილება რომ გაიგო, უფრო გათამამდა და მითხრა, საჭიროა ხელი შევუშალოთ საკოლმეურნეო მშენებლობას, გავაძლიეროთ გლეხობის უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. თუ გლეხთა მასები უკმაყოფილონი იქნებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით, ეს ამბავი ცნობილი გახდებოდა უცხოეთის სახელმწიფოებისათვის და ისინი აუცილებლად ომს გამოუცხადებდნენ საბჭოთა კავშირს. მახარაშვილმა ისიც მითხრა, რომ ერთერთი უცხო სახელმწიფო მზადაა ომი გამოუცხადოს საბჭოთა კავშირს და საჭიროა ამისათვის ჩვენ აქ ვემზადოთ. მე მას დავეთანხმე და ვაღიარე, მართლაც საჭიროა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ-მეთქი. ბრძოლის მეთოდად მავნებლობა ავირჩიე. ახლა ვგრძნობ, თუ რა მწარე შეცდომა დავუშვი. მე მეგონა, თუ კი ჩვენ პირუტყვს გავანადგურებდით და მავნებლობას გავწევდით, მოსახლეობა მთავრობას დაემდურებოდა, მაგრამ გამოვიდა პირიქით, მოსახლეობა მთავრობას კი არ დაემდურა, არამედ ჩვენ, თვითონ მავნებელი სპეციალისტები შეგვიძულა ხალხმა.

იმ ხანებში თბილისში არსებობდა ეპიზოოტიასთან ბრძოლის საკავშირო საზოგადოების განყოფილება. შემოკლებით ამ საზოგადოებას „ვეტეპოს“ ვეძახდით. „ვეტეპოს“ სტრუქტურა თავისთავად მავნებლური იყო. პატიოსანი სპეციალისტიც რომ ყოფილიყო ამ ორგანიზაციაში, მისი მუშაობის შედეგი მაინც მავნებლური ხასიათისა იქნებოდა. ასე, მაგალითად, კახეთიდან ერთხელ ჩვენ მივიღეთ დეპეშა, რომ იქ თავი იჩინა ცხვრის ყვავილმა. არსებული წესების თანახმად ადგილობრივ ვეტექიმებს არ ჰქონდათ უფლება დაუყოვნებლივ დაეწყოთ ავადმყოფი ცხვრის მკურნალობა, თუ ჩვენგან არ მიიღებდნენ სათანადო დირექტივებს. ჩვენ კი ამ დირექტივების გაგზავნას ვაჭიანურებდით იმ მიზნით, რომ ყვავილი გავრცელებულიყო და ცხვარი დაღუპულიყო. ასევე ვახერხებდით ღორების დაღუპვასაც. ხელს ვუწყობდით აგრეთვე ციმბირის წყლულის და საერთოდ პირუტყვის დაავადებათა გავრცელებას.

თავმჯდომარე — რამდენ ხანს გაგრძელდა თქვენი ასეთი მავნებლური მუშაობა?

ბასილია — 1933 წლამდე. ამ წელიწადს მე დამაპატიმრეს და ჩვენი კონტრრევოლუციურ - მავნებლური ორგანიზაცია ჩავარდა. ერთი წლისა და სამი თვის პატიმრობის შემდეგ ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები გაგვათავისუფლეს.

თავმჯდომარე — რატომ გაგათავისუფლეს?

ბასილია — იმიტომ, რომ გულწრფელად ვაღიარე ჩემი დანაშაული და სიტყვა მივეც საბჭოთა ხელისუფლებას, რომ შემდეგში აღარ გავწევდი მავნებლობას. განთავისუფლების შემდეგ მართლაც აღარ ვფიქრობდი მავნებლობის გაწევას, მაგრამ ერთხელ, 1935 წლის ბოლოს, შემხვდა ჩემთან ერთად პატიმრობაში ნამყოფი დ. ახმეტელი, რომელიც აგრეთვე ჩემთან ერთად განთავისუფლდა და მან მითხრა, რომ ძველები ყველანი ისევ ძველებურად მუშაობენო. შემდეგ მან მომიწოდა მეც მიმეღო მონაწილეობა კონტრრევოლუციურ - მავნებლურ და ჯაშუშურ მუშაობაში. თანხმობა განვუცხადე. რამდენიმე ხნის შემდეგ შევხვდი მათე კუტუბიძეს. მანაც მითხრა, რომ არსებობს მავნებლური ორგანიზაცია და მონაწილეობა მიიღე მის მუშაობაშიო. მალაც თანხმობა აღვუთქვი და ამის შემდეგ უკვე ხელახლა შევუდექი მავნებლობას.

სახელმწიფო ბრალმდებელი—მოახსენეთ სასამართლოს, თუ რა იცით იმის შესახებ, რომ თქვენი მავნებლური ორგანიზაციის მეოხებით ბაზარზე გასასყიდად გამოდიოდა ყვავილიანი ცხვრისა, ყვავილიანი ძროხისა და ტუბერკულოზიანი პირუტყვის რძე. მავნებელი ხომ არაა ასეთი რძე ადამიანის ჯანმრთელობისათვის?

ბასილია—ყვავილიანი საქონლის რძე ადამიანისათვის არაა მავნებელი, ხოლო ტუბერკულოზიანი პირუტყვის რძე კი, რა თქმა უნდა, მავნებელია, ამ რძით ხალხში ვრცელდება ტუბერკულოზი. საგულდაგულოდ არავისთვის დაგვივალებია, რომ ტუბერკულოზიანი პირუტყვის რძე გამოეტანათ ბაზარზე, მაგრამ ისე კი ვიცოდით, რომ ასეთი რძე ზოგჯერ გამოდიოდა და ჩვენ ამის წინააღმდეგ ხმას არ ვიღებდით. მაგრამ აქვე უნდა განვაცხადო, რომ საქონლის ტუბერკულოზით დაავადება საქართველოში შედარებით უფრო იშვიათი მოვლენაა.

სახელმწიფო ბრალმდებელი—ციმბირის წყლულით დაღუპული პირუტყვის ხორცს თუ უშვებდით ბაზარზე?

ბასილია—ასეთი ხორცის გამოშვებისა გვეშინოდა, რადგან ვინც ასეთ ხორცს შესჭამს, იგი დაუყოვნებლივ დაიღუპება, და ჩვენ ვშიშობდით, რომ ამნაირად ჩავვარდებოდით. მაგრამ ბაზარზე ასეთი ხორცის გამოსატანად ობიექტური პირობები ჩვენს მიერ შექმნილი იყო და იყო შესაძლებლობა, რომ ასეთი ხორცი შეუგნებელ გლეხებს გაესაღებინათ.

ბრალდებულ ბასილიას შემდეგი დაკითხვიდან გამოირკვა, რომ იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ღორის, ცხვრის ფარის, ძროხების და მუშა-საქონლის განადგურებაში. მან სასამართლოს უამბო აგრეთვე იმ მეთოდების შესახებ, რომლითაც სარგებლობდნენ მავნებლები მდარე ხარისხის შრატის დამზადებისას.

ბრალდებულ მიხეილ კორძახიას დაკითხვა

მიხეილ კორძახია სავსებით დამნაშავედ სცნობს თავს წაყენებულ ბრალდებებში. მავნებლურ მუშაობაში,—აცხადებს იგი,—ჩავები 1929 წელს. მაშინ მიწსახკომის სავეტერინარო სამმართველოს უფროსად იყო დავით ახმეტელი, მე კი ტაბახმელის ბიოქიმიურ სადგურში ვმუშაობდი. ერთხელ ტაბახმელაში ამოვიდნენ ლევან ლეონიძე და დ. ახმეტელი, დაათვალიერეს ჩვენი სადგური და შემოვიდნენ იმ ლაბორატორიაში, სადაც მე ვმუშაობდი. შემაქეს, მითხრეს, რომ ჩემით ისინი კმაყოფილნი არიან და დამიწყეს საუბარი სხვადასხვა საკითხებზე. ამ საუბრის დროს ახმეტელმა მითხრა, რომ მეცხოველეობის დარგში არსებობს მავნებლური წრე, რომელიც იბრძვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და რომ საჭიროა ამ წრეში შენც მიიღო მონაწილეობაო. მე ვიფიქრე, თუ მეხუმრებიან-მეთქი. მაგრამ შემდეგ ახმეტელმა დაუმატა, რომ თვითონ იგიც და ლეონიძეც ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ და საგულდაგულოდ მოვიდნენ ტაბახმელაში, რომ მეც ჩავბმულიყავ მავნებლურ მუშაობაში. შევშინდი და ვუთხარი, დამაცადეთ, მოვიფიქრებ და შემდეგ გეტყვით პასუხს-მეთქი.

— არავითარი დაყოვნება. ამ წუთშივე გვითხარი პასუხი, თორემ, აქვე გაგისწორდებით. ჩვენ ნიღაბი ჩამოვიხადეთ შენთან, შეგიძლია დაგვღუპო, და იცოდე, თუ ახლავე არ დაგვეთანხმე, ცოცხალს არ დაგტოვებთ! დამემუქრნენ ისინი. მეც თანხმობა განვაცხადე. დამავალეს, რომ იმავე დღიდან შევდგომოდი დაბალი აქტივობის, ე. ი. უვარგისი შრატის დამზადებას. მარტო 1931 წლის განმავლობაში მე დავამზადე დაახლოვებით 17 ათასი ლიტრი უვარგისი შრატი.

1933 წელს სამუშაოდ გადამიყვანეს მიწსახკომის სავეტერინარო სამმართველოში. ცოტა ხნის შემდეგ დააპატიმრეს დავით ახმეტელი, რომელთანაც მე უშუალოდ ვიყავი დაკავშირებული, და ამის გამო იძულებული გავხდი დროებით შემეჩერებინა მავნებლური მუშაობა. მალე გამომიძახა გვარამიამ და მითხრა, რომ განმეგრძო მავნებლობა, თორემ, თუ ასე არ მოვიქცეოდი იგი გადამცემდა სახელმწიფო პოლიტსამმართველოს. ამასთანავე გვარამიამ მითხრა, რომ იგი ტროცკისტია და მუშაობს ტროცკისტულ ორგანიზაციაში. იძულებული გავხდი დავმორჩილებოდი გვარამიას წინადადებას. რამდენიმე თვის შემდეგ ლაგოდეხის რაიონიდან მოვიდა ცნობა, რომ იქ მძვინვარებდა ღორის ჭირი. გვარამიას განკარგულებით იქ გაგზავნეს გამოუცდელი ახალგაზრდა ექიმი და დაავალეს ჩაეტარებინა ღორის ნაწილობრივი აცრა, ე. ი. ჯოგის ნაწილისთვის უნდა აეცრა, ხოლო მეორე ნაწილი კი აუცრელი დაეტოვებინა. ეს იმიტომ, რომ ღორის ჭირი საბოლოოდ არ მოსპობილიყო და იგი კვლავ გავრცელებულიყო სხვა ჯოგებზედაც.

თავმჯდომარე — აბაზანების მშენებლობაზე რას იტყვით?

კორძახია — საქართველოში ჩვენ უნდა აგვეშენებინა ორმოცამდე აბაზანა. ამ აბაზანებში უნდა გაგვეტარებინა ცხვარი, რომ იგი გადაგვერჩინა მუნით დაავადებისაგან. მაგრამ საქართველოში მხოლოდ 8 აბაზანა ააგეს, ეს აბაზანები ძალიან ძვირი დაჯდა, თითო დაახლოვებით 7—8 ათასი მანეთი, მაშინ როდესაც მათი ღირებულება გაცილებით ნაკლები იყო. აბაზანების მშენებლობა მავნებლურად სწარმოებდა. დუშეთში აბაზანა ააგეს გზატკეცილის ახლოს. როგორც კი ჩაასხეს დარიშხანის ხსნარი, რომ ამით გაებანათ საქონელი, აბაზანა გასკდა და 300 ვედროზე მეტი საწამლავი გზაში დაიღვარა. იძულებული გახდნენ გამოეწვიათ მილიცია, შეეჩერებინათ გზაზე მოძრაობა და გაეუქმებინათ აბაზანა. აბაზანების მშენებლობის ჩაშლის წყალობით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ საქართველოში გავრცელდა ცხვრის მუნი.

სახელმწიფო ბრალმდებელი — თქვენ სთქვით, რომ უვარგის შრატს ამზადებდით მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, ე. ი. 1931 წელს, შემდეგ წლებში რატომ აღარ დაამზადეთ ასეთი უვარგისი შრატი?

კორძახია—იმიტომ, რომ, მიუხედავად ჩვენი ყოველგვარი ცდისა, საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაში სავსებით მოისპო საქონლის ჭირი და შრატზე მოთხოვნილება აღარ იყო. ამის გამო უვარგისი შრატის დამზადება შევწყვიტეთ და მუშაობა წარვმართეთ იქით, რომ გაგვევრცელებინა საქონლის დანარჩენი დაავადებანი. მაგალითად, მე პირადად ხელს ვუწყობდი საძოვრების მოწამვლას ცხვრის ჭიით, ღორის ჭირის გავრცელებას, ცხვრის ყვავილის გავრცელებას, ცხვრის მუნის გავრცელებას და სხვ. მე ჩრდილო-კავკასიიდან ჩამოვრეკე ორიათასი სული ცხვარი, რომელთა შორის ბევრი ავადმყოფი იყო, იმ მიზნით, რომ ეს ავადმყოფობა საქართველოშიაც გავრცელებულიყო. 1935—36 წლებში ჩვენ დავანაწილეთ საქართველოს რაიონებს შორის ბრუცელოზით დაავადებული ბუღები, რომ ეს სენი საქართველოს ყველა რაიონის პირუტყვს მოსდებოდა. ალაზნის საბჭოთა მეურნეობიდან წამოვიყვანეთ და ხაშურში გავგზავნეთ ჭირიანი ღორები, რომ ხაშურის რაიონში ღორის ჭირი გავრცელებულიყო. მაგრამ რკინიგზელებს, ეჭვი დაჰბადებოდათ, მოეწვიათ ვეტექიმი, გამოერკვიათ, რომ ეს ღორები ავადმყოფები არიან და მიეღოთ საჭირო ზომები. ამნაირად, ეს ჩვენი განზრახვა ვერ შესრულდა.

3 დეკემბრის დილის სხდომა

ბრალდებულ მ. ა. კაგარლიცკის დაკითხვა

ექსპერიმენტული ვეტერინარიის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორის ყოფილმა მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში მ. კაგარლიცკიმ საბრალდებო დასკვნის მიხედვით სავსებით სცნო თავი დამნაშავედ.

თავმჯდომარე — ბრალდებულო კაგარლიცკი, მოახსენეთ სასამართლოს, როდის და რა პირობებში ჩაებით კონტრრევოლუციურ - დივერსიულ-საჯაშუშო ორგანიზაციაში და რას ისახავდა ეს ორგანიზაცია მიზნად.

კაგარლიცკი — ის ორგანიზაცია, რომელსაც მე ვეკუთვნოდი, მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და ბურჟუაზიული წყობილების აღდგენას. სწორედ ამ მიზნით ვეწეოდი მავნებლურ მუშაობას. ჯერ კიდევ 1931 წელს ლეონიძის წინადადებით ჩავები მავნებლურ ორგანიზაციაში. ლეონიძემ მითხრა, რომ მავნებლურ ორგანიზაციაში მუშაობდნენ ახმეტელი, ბასილია, მახარაშვილი, კორძახია და სხვ. 1932 წელს ჩრდილოეთ კავკასიიდან მეურნეობებისათვის მიღებული იქნა დაავადებული კურდღლები. მე ეს წინასწარ ვიცოდი, მაგრამ სათანადო ზომები არ მივიღე. კურდღლები გავუგზავნეთ ბაკურიანისა და დრეიძის მეურნეობებს, სადაც ავადმყოფობა სხვებსაც გადაედო და კურდღელი მთლიანად განადგურდა. ამ მეურნეობებში ავადმყოფობა რომ გავრცელდა, დახმარებისათვის მომმართეს მე, მაგრამ, როგორც მავნებელთა ორგანიზაციის წევრმა, ამ ეპიდემიის მოსასპობად, გარდა დეზინფექციისა, სხვა საშუალებას არ მივმართე. რასაკვირველია, ეს განზრახ ჩავიდინე, თორემ შემეძლო დეზინფექციის გარდა სხვა ზომების მიღება, რაც კურდღლებს გადაარჩენდა. 1934 წლის ზაფხულში კუტუბიძემ მითხრა, საქართველოში კონტრრევოლუციურ - მავნებლური ორგანიზაცია არსებობსო, რის შემდეგაც დავუკავშირდი კუტუბიძეს და მასთან ერთად ვეწეოდი მავნებლურ საქმიანობას. ჩემი მავნებლური მუშაობის შესახებ კუტუბიძესთან სამჯერ მქონდა საუბარი. უკანასკნელად მას შევხვდი 1935 წელს. 1933 წელს მავნებლურად შესდგა ინსტიტუტის თემატიური გეგმა, რომლის შესრულება მეცნიერ თანამშრომლებისათვის შეუძლებელი იყო. მე ეს წინასწარ ვიცოდი. შემდეგ კიდევ შედგენილ იქნა ისეთი გეგმა, რომლის გატარებით მთელ ამიერ-კავკასიაში მეცხოველეობას დაღუპვა მოელოდა.

სახელმწ. ბრალმდებელი ამხ. ტალახაძე — თქვენ იცოდით, რომ საყვარელიძე ატარებდა მავნებლურ მუშაობას?

კაგარლიცკი — რასაკვირველია, ვიცოდი. კოკციდიოზი ფრინველის ავადმყოფობაა, რომლის მკურნალობა შეუძლებელია. ეს ავადმყოფობა გაჩნდა საქართველოს მთელ რიგ მეურნეობებში. მის აღმოსაფხვრელად მე სათანადო ზომები არ მივიღე და ფრინველი განადგურდა. 1932-33 წელს ვმუშაობდი შინსახკომის მეფრინველეობის მეურნეობაში, სადაც არ გამიწევია მავნებლობა, რადგან მეშინოდა (სიცილი დარბაზში). შინსახკომის მეურნეობაში ქათმები რომ დახოცილიყო, მიზეზს მალე გამოარკვევდნენ და მახეში გავებმოდი.

ძირითადად ჩემი მავნებლური მუშაობა შემდეგში მდგომარეობს. ჩავშალე კურდღლის დაავადებათა მკურნალობის მეთოდების დამუშავება. არ ვღებულობდი სათანადო ზომებს დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად იმ მეურნეობებში, სადაც მე მივდიოდი და არასწორ დიაგნოზებს ვიძლეოდი იმ მასალების მიხედვით, რომლებიც ლაბორატორიაში შემოდიოდა.

იმისათვის, რომ წარმოებაში გაგვეშვა სუსტი აქტივობის შრატი და დამემალა ჩემი მავნებლური მუშაობა, მე საკონტროლო ლაბორატორიას შესამოწმებლად ვაძლევდი უფრო ძლიერი აქტივობის შრატს, ვიდრე მთელი მიღებული პროდუქცია იყო. ამ გზით ვღებულობდი ვიზას შრატის გამოშვებაზე.

ამრიგად, გარდა იმისა, რომ შრატის თავის დროზე გამოშვებას 2-3 თვით ვაყოვნებდი, მე ვუშვებდი სუსტი აქტივობის შრატს ზუსტი ტიტრის უქონლად. პირუტყვის აცრის დროს ასეთი შრატი არ იძლეოდა არავითარ შედეგს.

ბრალდებულ ლ. ს. კიკნაძის დაკითხვა

თავმჯდომარე — სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

კიკნაძე — ვცნობ თავს დამნაშავედ. 1936 წლის მაისში მივედი კუტუბიძესთან. ის მარტო იყო კაბინეტში და მითხრა კარგი ჰქენი, რომ შენ თვითონ მოდი, შენთან მოსალაპარაკებელი მაქვსო. არსებობს მავნებელთა ორგანიზაცია, რომლის წევრი შენც უნდა გახდე. დავალებას მიიღებ ჩემგან და აბა შენ იცი, თუ როგორ შეასრულებ. მე მოვუსმინე კუტუბიძის საუბარს, მაგრამ არ ვიცოდი, რას ისახავდა მიზნად ეს მავნებელთა ორგანიზაცია.

თავმჯდომარე — თქვენ უმაღლესი განათლება გაქვთ მიღებული და ნუთუ არ იცით, რას ნიშნავს მავნებლობა?

კიკნაძე (ცოტახანს სდუმს) — ის დამემუქრა, შენ თბილისის რაიონში ხარ დანიშნული და რასაც დაგავალებ, უნდა შეასრულო, თორემ ისე გაგიხდი საქმეს, რომ სამსახურს შენ სიცოცხლეში ვერ ეღირსებიო. მივიღე რა დავალებები კუტუბიძისაგან, დავიწყე მუშაობა თბილისის რაიონის ვეტექიმად და ჩავიდინე შემდეგი მავნებლობა: ნიჩბისის სასოფლო საბჭოში გაჩნდა საქონლის და ღორის ჭირი. ამ ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად მე არ მივიღე დროული ზომები. დაგვიანებით მოვახდინე აცრა, რის გამო ჭირმა მრავალი სული პირუტყვი იმსხვერპლა და სოფელმა დიდი ზარალი ნახა. 1937 წლის ზაფხულში კუტუბიძეს ველაპარაკე მავნებლური მუშაობის შესახებ. ის რატომღაც ცუდ ხასიათზე იყო და ჩემი მუშაობა დამაკმაყოფილებლად არ ჩასთვალა. მავნებლობის შესახებ კუტუბიძესთან მე სულ სამჯერ მქონდა საუბარი.

თავმჯდომარე — სავეტერინარო საქმის მოწყობის გარშემო რა გააკეთეთ?

კიკნაძე — სავეტერინარო პუნქტებს მედიკამენტებით თავის დროზე არ ვამარაგებდი. ნორიოს სოფლსაბჭოში ჰემორაგიული სეპტიცემიის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები არ მივიღე, რის გამო ავადმყოფობა გაძლიერდა.

თავმჯდომარე — ხართ თუ არა გარკვეული იმ მძიმე დანაშაულში, რომელიც ჩაიდინეთ?

კიკნაძე — დიაღ, ვარ.

ამხ. ტალახაძე — რა ზომებს ღებულობდით ციმბირის წყლულისა და სხვა ავადმყოფობათა წინააღმდეგ?

კიკნაძე — მავნებლურად ჩავატარე ღორების აცრა, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ნაცვლად კომბინირებულისა, ვატარებდი პასიურ აცრას. კასპის რაიონში გაჩნდა ციმბირის წყლული. მე არ მივიღე სათანადო ზომები თბილისის რაიონის იზოლირებისათვის. ავადმყოფი და ჯანსაღი პირუტყვი ერთად დადიოდა და ამან ხელი შეუწყო ავადმყოფობის გავრცელებას. სრულიად მოუწყობელი გვქონდა აგრეთვე ვეტერინარული წერტილები.

ამხ. ტალახაძე — რომელი წლიდან ჩაებით კონტრრევოლუციურ მავნებლურ ორგანიზაციაში?

კიკნაძე — 1936 წელს ჩამაბა კუტუბიძემ, რის შემდეგ დაპატიმრებამდე ვმუშაობდი აქტიურად.

ბრალდებულ ნ. მ. ჩოხელის დაკითხვა

ბრალდებული ნიკოლოზ ჩოხელი დაპატიმრებამდე ვეტექიმად მუშაობდა გურჯაანის რაიონში, სადაც აფერხებდა მეცხოველეობის განვითარებას, არ მკურნალობდა დაავადებულ საქონელს და ხელოვნურად ავრცელებდა ეპიზოოტიას.

თავმჯდომარე — როდის და ვისი საშუალებით მოხვდით კონტრრევოლუციურ დივერსიულ-საჯაშუშო ორგანიზაციაში?

ჩოხელი — 1936 წელს გურჯაანიდან ჩამოვედი თბილისში, სადაც კურსებზე ვიყავი გამოგზავნილი. იმ ხანებში გურჯაანის რაიონში მოდებული იყო ეპიზოოტია და საქონელი ნადგურდებოდა. ამის შესახებ მივმართე კორძახიას, რომელმაც მითხრა, რა თავს იცხელებ, კაცო. მე არ მეხება ეს საქმე, წადი და კუტუბიძეს მოახსენეო; კუტუბიძის კაბინეტში რომ შევედი, ის მარტო იყო. კარგად მიმიღო. მე ვუთხარი, გურჯაანის რაიონში ეპიზოოტიაა გავრცელებული-მეთქი. მას გაეცინა და მითხრა, ჭურში ხომ არ ზიხარ, ნუთუ ვერ გრძნობ ვერაფერს, ხომ ხედავ, რა მდგომარეობაა, ეპიზოოტია სხვა რაიონებშიც გავრცელებულია, მაგრამ ჩვენ მის აღმოსაფხვრელად მაინცდამაინც თავს არ ვიწუხებთო. საქართველოს მიწსახკომის ორგანოებში მოქმედებს კონტრრევოლუციურ დივერსიულ-ჯაშუშური ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრას. შენც სპეციალისტი ხარ, დაფიქრდი, ჩაები ამ ორგანიზაციაში და დავალებები მიიღე. ამას თუ არ გააკეთებ, ცუდი დღე დაგადგებაო. მე მაშინვე დავეთანხმე. ხუთმეტი დღე დავყავი კურსებზე. შემდეგ მოვიღე დავალებები და უკანვე გავემგზავრე.

თავმჯდომარე — რა მავნებლური მუშაობა გასწიეთ გურჯაანის რაიონში?

ჩოხელი — როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გურჯაანიდან თბილისში რომ ჩამოვედი, იქ მაშინ ეპიზოოტია იყო გავრცელებული. მაგრამ კუტუბიძის დავალებით ამ ეპიზოოტიის აღსაკვეთად ზომები არ მივიღე. რაიონში ღორები ბევრია, მაგრამ აცრა მოვახდინე მხოლოდ იმ სოფლებში, სადაც ღორი ცოტა იყო და ეპიზოოტიაც სრულებით არ იყო გავრცელებული.

კაჭრეთის სასოფლო საბჭოში გავრცელებული იყო ღორის ჭირი. ამ გადამდები სენით 70 სულამდე ღორი აღმოჩნდა დაავადებული. მათ ასაცრელად მიწსახკომს მოვთხოვე შრატი. გავიდა რამოდენიმე დღე და მიწსახკომმა ნაცვლად ღორის ასაცრელი შრატისა, მსხვილფეხა საქონლის ასაცრელი შრატი გამომიგზავნა. მე მივხვდი, რომ ეს იყო მავნებლური აქტი, მაგრამ შეგნებულად ავუცრელი ღორები. რასაკვირველია, ამით ავადმყოფობა არ შენელებულა. 1934 წ. ივნისიდან ჩემს დაპატიმრებამდე ასამდე სული მსხვილფეხა პირუტყვი დაიხოცა, ეს მხოლოდ რამდენიმე სოფელში. რაც შეეხება მთელ რაიონს, არ მახსოვს, თუ რამდენი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი განადგურდა.

სოფელ არაშენდაში აცრამდე მოკვდა 3 სული მსხვილფეხა საქონელი, ხოლო მას შემდეგ, რაც მე აცრა მავნებლურად ჩავატარე, მოკვდა 11.

ილო მოსაშვილი

სერგეი კიროვის ხსოვნას

ის დიდ სტალინის თანამებრძოლი
მგზნებარე გულის ცეცხლით იწოდა,
დარაჯად ედგა ლენინურ დროშას
და ვერაგ მტერთან შებმა ცოდა.

ის როგორც გმირი თავგანწირული,
ურყევად იდგა ბელადის გვერდით,
ერთად მოჰქონდა სიტყვა და საქმე,
მრავალ ბრძოლაში ნაცადი მკერდით

ერთად მოჰქონდა გრძნობა და აზრი,
მუდამ წმინდა და მუდამ ნათელი,
მისი ფოლადის ნაჭედი სიტყვა
იყო გრიგალი და ქრუანტელი.

რაც ბავშობიდან არწია გულში,
მან მიუტანა მშობელ ქვეყანას,
რომ საბჭოეთის ბედნიერ მზიზე
ადამიანი გამოეყვანა.

რომ ყოფილიყო მთელი მსოფლიო
განათებული სტალინის სიბრძნით,
რისთვისაც ვცხოვრობთ, რისთვისაც ვსუნთქავთ
და გამარჯვების სიმღერით ვიბრძვით.

მიტომ ამოძვრა ხვრელიდან გველი
თავის დაწყევლილ მოდგმით და თესლით,
რომ ჩვენს ლხენაში და სიხარულში
მას არაერთხელ ჩაეშვა გესლი.

და წამით შესძლო, ესროლა ტყვია,
დაეცა გმირი მტკიცე და ურჩი,
დაეცა, მაგრამ უკვდავად დარჩა
მრავალ მილიონ მშრომელთა გულში.

მოტყუვდა მტერი, ვერ გადაურჩა—
მუდამ მღვიძარე სამშობლოს გმირებს,
სადაც კი სადმე კვალი ატყვია,
სთხრიან მიწიდან შხამიან ძირებს.

და ერთი რისხვით აშლილი ერი,
როგორც ყოველთვის—ურყევი დღესაც,
მტერსვე უბრუნებს მოწამლულ წვერით,
მახვილს, რომელსაც საჩვენოდ ლესავს.

ჩვენ კი მივდივართ ბედნიერ გულით
და ძირს არ დავხრით ნაცად მარჯვენას,
რომ შემოვერტყათ მიუვალ ქედლად
ჩვენს დიად სტალინს—ჩვენს გამარჯვებას.

1/XII 1937 წელი.

წაკითხულია ავტორის მიერ ს. მ. კიროვის ძეგლის გახსნის აღსანიშნავ მიტინგზე 1 დეკემბერს.

ბრალდებულ მ. ს. კუტუბიძის დაკითხვა

— მეტად მძიმეა ჩემი დანაშაული, მე ვუღალატე სამშობლოს, ვუღალატე ბოლშევიკურ პარტიას, რომელმაც მე აღმზარდა და ცხოვრების გზაზე გამომიყვანა. 1933 წლის ნოემბერში დამნიშნეს საქართველოს ექსპერიმენტული ვეტერინარიის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორად. ეს ინსტიტუტი ექვემდებარებოდა საქართველოს მიწსახკომს. 1935 წლის ნოემბერში შეთავსებით დამნიშნეს მიწსახკომის სავეტერინარო სამმართველოს უფროსად. ინსტიტუტისა და სამმართველოს მუშაობის შესახებ მრავალჯერ მქონდა საუბარი გვარამიასთან, რომელიც ყოველთვის კონტრრევოლუციურ განწყობილებით მელაპარაკებოდა. მაგრამ ამის შესახებ არსად მითქვამს რამე. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ყურადღება არ ექცეოდა კარანტინის დაცვას. სახსრები, რომლებიც ვეტდაწესებულებებისათვის იყო გამოყოფილი, დანიშნულებისამებრ არ იხარჯებოდა. დაავადებული პირუტყვის აცრა წესიერად არ სწარმოებდა. მე შევადგინე ამ ნაკლოვანებათა შესახებ მოხსენებითი ბარათი და გეგმა, რომელიც წარვუდგინე ამჟამად დაპატიმრებულ კეკელიას. კეკელიამ ჩემს ღონისძიებებს არავითარი ყურადღება არ მიაქცია. შემდეგ ველაპარაკე გვარამიას, რომელმაც მითხრა, ვეტერინარებში არსებობს მავნებელთა ორგანიზაცია, ამაში შენც უნდა მიიღო მონაწილეობა. ხომ გახსოვს, 1935 წელს კონტრრევოლუციური საუბარი მქონდა შენთან და შენ ეს არავისთვის გითქვამს. თუ ახლა მავნებელთა ორგანიზაციაში მონაწილეობა არ მიიღე, ვაი შენს დღესო. მე გვარამიას წინადადება მივიღე და იმ დღიდან გავხდი ამ ორგანიზაციის წევრი. შემდეგ კიდევ შევხვდი გვარამიას, რომელმაც მითხრა, მიწსახკომის ხაზით მავნებელთა ორგანიზაციას მათიკაშვილი ხელმძღვანელობსო.

ჩემი მავნებლური მუშაობა დაიწყო ციმბირის წყლულის გავრცელებით. ეს ავადმყოფობა მოდებული იყო საქართველოს ოთხ რაიონში, მაგრამ მის საწინააღმდეგოდ მე ზომები არ მივიღე. განზრახ არ ვაქცევდი ყურადღებას ვეტერინარული პუნქტების მუშაობას, რის გამო ციმბირის წყლულმა დიდძალი პირუტყვი იმსხვერპლა. მეორე ავადმყოფობა არის თურქული, რომელიც საქართველოში არ არსებობდა. ეს ავადმყოფობა შემოტანილ იქნა თურქეთიდან. თურქეთში შეძენილ პირუტყვს კარანტინში არ ვატარებდით, რის გამო საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ფეხი მოიკიდა თურქულმა. პირველად ის გაჩნდა ადიგენის რაიონში და შემდეგ მოედო აღმოსავლეთ საქართველოს.

ფილტვების მმუსრავი ანთების ეპიზოოტია პირველად გაჩნდა ზემო-სვანეთში. ამ ავადმყოფობის გამოსაკვლევად ჩვენ დაგვიანებით, მაგრამ მაინც გავგზავნეთ ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამჟამად საბრალდებულო სკამზე მჯდომი კაგარლიცკი. ექსპედიციამ ასი ათასი მანეთი დახარჯა, მაგრამ არსებითად არაფერი გაუკეთებია. მავნებელთა ორგანიზაცია დიდ მუშაობას ეწეოდა ცხენების გასანადგურებლად. 1933 წლამდე ქოთაოს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ამ სენით დაავადებული ცხენები ცალკე უნდა ყოფილიყო მოთავსებული, მაგრამ ჩვენ არ ვღებულობდით ზომებს მათთვის სპეციალურ ბინების ასაშენებლად, რის გამო დაავადებული ცხენები ჯანსაღებში იყვნენ არეული და ავადმყოფობა სწრაფად ვრცელდებოდა. რაც შეეხება ქეცს, ამ ავადმყოფობამ დიდი ზიანი მიაყენა მეცხვარეობას. ქეცის განსაკურნავად საჭირო აბაზანები სიღნაღში და სხვა რაიონებში მავნებლურად იქნა აშენებული. ამ აბაზანების გამოყენება შეუძლებელია. ამის გამო საქართველოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა დიდი ზარალი ნახეს.

თავმჯდომარე — გარდა ჩოხელისა და კაგარლიცკისა კიდევ ვინ ჩააბით კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში?

კუტუბიძე — ოსებაშვილი, დათუნაშვილი და სხვ.

ბრალდებულ ბ. პ. შენგელიას დაკითხვა

ბრალდებული შენგელია დაპატიმრებამდე იყო თბილისის საბჭოს ვეტერინარული ინსპექციის უფროსი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მავნებლურ საქმიანობაში.

თავმჯდომარე — როდის და რა პირობებში ჩაებით კონტრრევოლუციურ დივერსიულ-მავნებლურ ორგანიზაციაში?

შენგელია — ჯერ კიდევ წინათ ლაშხაურის დავალებით მავნებლურად ჩავატარე აცრა, რის გამო დაიხოცა დაავადებული პირუტყვის 12 პროცენტამდე. გვარამიამ იცოდა ჩემი მავნებლური მუშაობა, 1934 წელს მან გამომიძახა და მითხრა, ეპიზოოტიის წინააღმდეგ საბრძოლველად შენ დასავლეთ საქართველოში უნდა გაგზავნოთ. მე თავდაპირველად უარი ვთქვი, მაგრამ შემდეგ თანხმობა განვუცხადე. გვარამიამ მომცა მავნებლური დავალებები.

ამხ. ტალახაძე — რას იტყვით მშენებლობის შესახებ?

შენგელია — სადეზინფექციო ამბულატორიის მშენებლობა ჩავშალეთ. 1934 წელს, როცა გვარამიას წინადადებით მავნებლურ ორგანიზაციაში ჩავები, მან მითხრა, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი მათიკაშვილიაო. გვარამიამ დამიბარა და შემომთავაზა სავეტერინარო სამმართველოს უფროსის თანამდებობა, რაზედაც მე არ დავეთანხმე. ვუთხარი, ვერ შევძლებ-მეთქი. შემდეგ გავემგზავრე დასავლეთ საქართველოში. ეპიზოოტიის წინააღმდეგ უნდა მიმეღო ზომები, მაგრამ გვარამიას დავალებით მის გავრცელებას უფრო შევუწყე ხელი.

3 დეკემბრის საღამოს სხდომა

3 დეკემბერს საღამოს სხდომაზე გაგრძელდა ბრალდებულ შენგელიას დაკითხვა. ბრალდებულმა ვრცლად განმარტა მის მიერ ჩადენილი მავნებლობის ზოგიერთი დეტალი, შემდეგ სასამართლო გადავიდა ბრალდებულ კონსტანტინე შანიძის დაკითხვაზე.

შანიძემ თავი სავსებით დამნაშავედ სცნო და სასამართლოს უამბო, თუ როგორ გახდა მავნებელი, ან სად რა ხასიათის მავნებლობა გასწია. მან აღნიშნა, თუ რა ზომები დასახეს მავნებლებმა, რომ უცხო ქვეყნებიდან საქართველოში შემოსულიყო ეპიზოოტია, როგორ ცდილობდნენ, რომ მოსახლეობაში უკმაყოფილება შეექმნათ და სხვ.

შანიძის დაკითხვის შემდეგ სასამართლო გადავიდა მოწმეთა ჩვენებების მოსმენაზე. ჩვენებები მისცეს ლ. ბონჩ-ბრუევიჩმა, გ. საპანაძემ, მიწსახკომის სავეტერინარო სამმართველოს ინსპექტორმა გ. არუთინოვმა, ვეტექიმმა ს. დონდაროვმა და ვეტექიმმა სერ. გაბილაიამ.

ამით დამთავრდა სასამართლოს გამოძიება. შემდეგი სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთის სახალხო ფრონტის ნაციონალური კომიტეტის მანიფესტი

ბარსელონა, 30 ნოემბერი (საქდესი). ესპანეთის სახალხო ფრონტის ნაციონალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიც ნათქვამია:

„ანახლებს რა თავის მოღვაწეობას სახალხო ფრონტის ნაციონალურ კომიტეტს სურს, რათა მისი პირველი აქტი იყოს მოწოდება რესპუბლიკის ყველა პარტიისა და ორგანიზაციის წევრებისადმი, აგრეთვე მთელი ესპანელი ხალხისადმი".

„ახლოვდება გამოცდის ჟამი, ნათქვამია მანიფესტში, რაც წარმოადგენს სასინჯ ქვას ხალხის სიდიადის შესამოწმებლად. დამპყრობლებმა სასოწარკვეთილი ცდით თავი მოუყარეს თავიანთი ჯარების მთელ მასას, რომლებიც მომარაგებული არიან ჩინებული საომარი მასალით. ჩვენ დამშვიდებით ველით დამპყრობელთა ახალ შემოტევას, დაუკვეხნელად, მაგრამ უშიშრადაც, მტკიცედ დარწმუნებულნი ჩვენი არმიის დისციპლინასა, ძლიერებასა და ენტუზიაზმში, მის უდიდეს მატერიალურ და ადამიანთა რესურსებში, ჩვენი ხალხის წინააღმდეგობის გაწევის უნარში, ჩვენი ხალხისა, რომელიც მტკიცედ სდგას დამოუკიდებლობის სადარაჯოზე და რომელიც აღფრთოვანებულია იმის სურვილით, რომ აღადგინოს თავისი მიწაწყლის ხელუხლებლობა და სრული პოლიტიკური სუვერენიტეტი.

სახალხო ფრონტის ნაციონალური კომიტეტი მღელვარებით იზიარებს მთავრობის მეთაურის სიტყვებს, რომელმაც განაცხადა, რომ ომი გაგრძელდება უყოყმანოდ და დაუთმობლად, გამარჯვებამდე.

მაგრამ პირველი პირობა იმისათვის, რომ მივაღწიოთ გამარჯვებას, არის სოლიდარობა ყველა ანტიფაშისტთა, ყველა ესპანელთა, რომელნიც უნდა აღსდგნენ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ამიტომ სახალხო ფრონტის ნაციონალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ანტიფაშისტს განახორციელონ ეს ერთიანობა.

სახალხო ფრონტმა უნდა შექმნას პირობები არმიის განსამტკიცებლად: სარდლობის გასაწმენდად, სამხედრო მრეწველობის განსავითარებლად, ზურგის გასაწმენდად ფარული და აშკარა მტრებისაგან; იგი უნდა ცდილობდეს გააუმჯობესოს არმიისა და მოსახლეობის მომარაგება სურსათით და განამტკიცოს მთელი ხალხის მასების ერთიანობა ბრძოლაში.

სახალხო ფრონტი აცხადებს, რომ იგი იბრძვის იმ სოციალურ მონაპოვართა შესანარჩუნებლად, რომელთაც ხალხმა მიაღწია ომის თექვსმეტი თვის განმავლობაში. სახალხო ფრონტმა იცის, რომ ეს მონაპოვარნი ომის ყველაზე მძლავრი სტიმულია, ვინაიდან ომის დასასრულზეა დამოკიდებული, რომ ისინი გახდნენ ხანგრძლივი, მუდმივი. მთელი მსოფლიოს დემოკრატებო, მშრომელებო, ანტიფაშისტური პარტიებო და ორგანიზაციებო!

ის დანაშაულებანი, რომელთაც ესპანეთში გერმანიისა და იტალიის ფაშიზმი სჩადის, აიძულებენ ესპანეთს მოგმართოს თქვენ მოწოდებით, რათა ყოველგვარი დახმარება აღმოგვიჩინოთ ჩვენს ბრძოლაში ფაშიზმთან. დღეს ჩვენი ქვეყანა არის უახლოესი ობიექტი გერმანიისა და იტალიის ფაშიზმის აგრესიისა, ხოლო ჩინეთი-იაპონიის იმპერიალიზმის მოქმედებათა ასპარეზი. ორივე ხალხი იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. მაგრამ თქვენ ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაკავშირებულია მსოფლიოს ყველა ხალხის ბედთან.

მანიფესტს ხელი მოაწერეს: „მემარცხენე რესპუბლიკელთაგან" — ველაომ და ვეიტეზმა, სოციალისტური პარტიისაგან — ლამონედამ და კორდერომ, კომპარტიისაგან — ხოზე დიასმა და დელიკადომ, „რესპუბლიკელთა კავშირისაგან"—ვალიერამ და ალონსომ.

პოლონეთის სამხედრო ხროვის პროვოკაციული გამოსვლა

შეპეტოვკა, 2 დეკემბერი (საქდესი). 29 ნოემბერს პოლონეთის სადგურ ზდოლბუნოვოზე საბჭოთა მატარებელს № 34/2951, რომელიც პოლონეთიდან სსრ კავშირში ბრუნდებოდა, მოულოდნელად გარს შემოერტყენ მცველები. გარშემორტყმაში მონაწილეობას იღებდა ბევრი საეჭვო პირი, რომელთაც სამხედრო იერი ჰქონდათ და, როგორც სჩანს, ნაჩქარევად იყვნენ გადაცმული სამოქალაქო ტანისამოსში.

თუ ჩვეულებრივ ჩვენი მატარებლის ბრიგადა, დოკუმენტების გაფორმების შემდეგ, თავისუფლად დაიკავებდა ხოლმე თავის ადგილებს მატარებლის ვაგონებში, ახლა მოახდინეს ყველა ჩვენი მუშაკის დამამცირებელი პირადი გაჩხრეკა ტანისამოსის გახდამდე და ფეხსაცმლის გასინჯვამდეც კი. პოლონეთის პოლიციის გათავხედებული მოხელეები და ოფიცრები ჩხრეკის დროს იარაღით იმუქრებოდნენ. მათ სცემეს მზეთავ ამხ. **ხინჩუკს**, რომელიც შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია.

მაგრამ მაინც, ასეთი ამბით გაჩხრეკის შემდეგ, ზდოლბუნოვოს სადგურის პოლონელ ხელისუფალთ რატომღაც დასჭირდათ აეძულებინათ მატარებლის მთელი ბრიგადა თავი მოეყარა მცველთა ზედამხედველობით ერთ ვაგონში და საშუალება მოუსპეს ბოლო ვაგონის კონდუქტორს თვალყური ედევნებინა მატარებლის სვლის უშიშროებისათვის. გარდა ამისა, ყველა საკლასო ვაგონში რატომღაც ჩამქრალი აღმოჩნდა ელექტრონის განათება.

როგორც რამდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა, ყოველივე ეს იყო მხოლოდ კიდევ უფრო მეტი თავხედური ამბების შესავალი.

საბჭოთა საზღვრის უკანასკნელ სადგურზე — მოგილიანის სადგურზე ჩვენმა მემანქანემ ამხ. **სავიუკმა** მატარებლის დაძვრისას სასიგნალო ლამპის შუქზე შენიშნა, რომ ადგილობრივმა პოლონელმა მეისრემ უცბად მიირბინა საკლასო ვაგონთან და გადასცა იქ რაღაც თუნუქა.

როდესაც მატარებელი საბჭოთა საზღვარს უახლოვდებოდა, № 301 რბილ ვაგონში „მოულოდნელად" გაჩნდა ხანძარი. ამხ. **სავიუკმა** აუტეხა განგაში და შეეცადა მიეღო ზომები ხანძრის ჩასაქრობად. მატარებლიდან გადმოხტნენ პოლონეთის აგენტები სამოქალაქო ტანსაცმელსა და სამხედრო ფორმაში, რომლებიც მუქარითა და ყვირილით ცდილობდნენ აეძულებინათ მემანქანე წაეყვანა ცეცხლის ალში გახვეული შემადგენლობა საბჭოთა ტერიტორიაზე. ამხ. **სავიუკმა**, მუქარის მიუხედავად, თავგამოდებით მოხსნა ცეცხლმოდებული ვაგონი დანარჩენ შემადგენლობას.

პოლონეთის სამხედრო ხროვის პროვოკაციული საქციელი მეორე დღესაც გაგრძელდა, როდესაც პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საკვანძო შეთანხმების თანახმად, მოგილიანში შემთხვევის ადგილას კვლევაძიების მოსახდენად მივიდნენ სამხრეთ-დასავლეთის რკინიგზის წარმომადგენლები მოძრაობის დარგის შეპეტოვკის განყოფილების უფროსის ამხ. **ჩორნის** და სავაგონო უბნის უფროსის ამხ. **ვორონინის** სახით. მომხდარი ამბის გამო მწუხარების გამოთქმის ნაცვლად ელემენტარული თავაზიანობის ნაცვლად, პოლონელმა ოფიცრებმა აუკრძალეს საბჭოთა რკინიგზელებს თავისი სასამსახურო ვაგონით სარგებლობა, როგორც ამას ჩვეულებრივ ჰქონდა ადგილი, ამასთანავე ისინი მოათავსეს მესაზღვრეთა საგუშაგო სადგომში და მიუჩინეს მცველები, რომლებიც თან დაჰყვებოდნენ საგუშაგოდან ყოველი გამოსვლის დროს. კიდევ მეტი 1 დეკემბერს ღამის 4 საათზე, ხანძრის გაჩენის მიზეზების გამორკვევის შემდეგ პოლონელმა ოფიცრებმა წინადადება მისცეს საბჭოთა დელეგაციას, ფეხით წასულიყო პოლონეთის ტერიტორიიდან. რა თქმა უნდა, ჩვენმა რკინიგზელებმა აღშფოთებით უარჰყვეს ეს წინადადება, მაგრამ იძულებული გახდნენ დილის 6 საათამდე დარჩენილიყვნენ პოლონეთის მესაზღვრეთა საგუშაგოზე.

დამახასიათებელია, რომ საბჭოთა დელეგატებს არ მისცეს კვლევა-ძიების მთელი მასალა, არამედ გადასცეს მხოლოდ ნაჩქარევად შეთითხნილი საერთო ოქმი, სადაც პოლონეთის ხელისუფალნი ცდილობენ მატარებლისათვის ცეცხლის გაჩენა დააბრალონ მატარებლის ბრიგადას, რომელსაც დადგენილი წესის დარღვევით, მათვე მოუსპეს საშუალება თვალყური ედევნებინა მატარებლის სვლის უშიშროებისათვისაც კი, ვინაიდან იგი მცველთა ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა ერთ ვაგონში. მოყვანილი ფაქტების საფუძველზე საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა მის მიერ შედგენილ ოქმში პოლონეთის სამხედრო ხროვის მთელი პროვოკაციული გამოსვლები და პასუხისმგებლობა ხანძრის გაჩენისა და ზარალისათვის დააკისრა პოლონეთის მხარეს.

საქდესის შენიშვნა. საქდესის მიერ საქმესთან გაცნობილი წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას ვარშავაში დაევალა, ზდოლბუნოვოს სადგურზე მომხდარ პროვოკაციულ გამოსვლასთან დაკავშირებით, განაცხადოს პროტესტი, მოითხოვოს საქმის გამოძიება, დამნაშავეთა დასჯა და ზარალის ანაზღაურება.

ესპანეთის ფრონტებზე

(საქდესის ცნობების მიხედვით)

ცენტრალური ფრონტი

რესპუბლიკელთა ჯარებმა კარაბანჩელის სექტორში მოახდინეს დაზვერვა და ხელთ იგდეს სამხედრო მასალები.

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

მოგერიებულ იქნა მეამბოხეთა იერიშები ასუნის პიკის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობზე, მდინარე კალიეგოს სექტორში, აგრეთვე კასტრალვოს სექტორში.

სამხრეთის ფრონტი

რესპუბლიკელებმა მოიგერიეს მეამბოხეთა ორი იერიში სოლტერის რაიონში (გრენადის სამხრეთით).

* * *

30 ნოემბერს დილით ფაშისტთა ორმა ჰიდროპლანმა ყუმბარები ჩამოჰყარა კასტილიონის ნავსადგურში, რის შედეგადაც დაიჭრა ორი კაცი. ამის შემდეგ მეამბოხეთა თვითმფრინავები გაემართნენ ბურიანის ნავსადგურისაკენ, სადაც ყუმბარები დაუშინეს ორ პატარა სავაჭრო გემს. დაიჭრა ორი მეზღვაური. რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებლების გამოჩენის შემდეგ ფაშისტთა თვითმფრინავები მიიმალნენ ქალაქ პალმის მიმართულებით, მაიორკის კუნძულზე.

ქალაქ მაონის თავზე (მინორკის კუნძული) შეამჩნიეს მეამბოხეთა თვითმფრინავი, რომელიც, როგორც სჩანს, დაზვერვას აწარმოებდა. რესპუბლიკელთა საზენიტო არტილერიამ გააქცია ფაშისტთა თვითმფრინავი.

შ. რუსთაველის იუბილე

საიუბილეო გამოცემანი

გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა გამოსცემს „ვეფხის-ტყაოსნის" აკადემიურ ტექსტს საიუბილეო კომიტეტის რედაქციით. წიგნი გამოვა მხატვარ ზიჩის ილუსტრაციებით. გამოცემული იქნება აგრეთვე პროფ. შ. ნუცუბიძის მონოგრაფია „შოთა რუსთაველი და ქართული კულტურა".

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექტორი უშვებს სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის „ვეფხის-ტყაოსნის კომენტარიებს", რომელიც გათვალისწინებულია საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის.

გარდა ამისა, სექტორი უშვებს დაწყებითი სკოლის მოსწავლეთათვის „ვეფხის-ტყაოსანს" პროზად, რომელსაც დართული ექნება პოემიდან ამოკრეფილი შესაფერისი აფორიზმები.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის გამოდის ბროშურები: „ვეფხის-ტყაოსნის ფრინველები", რომელშიც მოცემული იქნება ყველა, ის ფრინველი, რომლებიც მოხსენებულია პოემაში. თვითეულ მათგანს ექნება შესაფერისი წარწერა, ამოღებული პოემის ტექსტიდან. ასევე გამოვა „ვეფხის-ტყაოსნის ცხოველები" და „ვეფხის-ტყაოსნის ყვავილები".

ამ ბროშურების მხატვრული გაფორმება მინდობილი აქვს მხატვარ გ. ნათიძეს.

ყველა ეს წიგნი ბაზარზე გამოვა საიუბილეო დღეებისათვის.

შოთა რუსთაველის ძეგლი ახალციხეში

ახალციხე, 2 დეკემბერი (საქდესი). შოთა რუსთაველის ხსოვნის აღსანიშნავად, რომელიც, ხალხის გადმოცემით, ჯავახეთში დაიბადა, ახალციხის რაიაღმასკომმა გადასწყვიტა ქალაქ ახალციხეში, ქალაქის ბაღში ძეგლი დაუდგას დიდ ქართველ პოეტს.

ძეგლი აიგება მოქანდაკე ჯ. თოფურიძის პროექტის მიხედვით.

ძეგლის სიმაღლეა 4,45 მეტრი. მისი კვარცხლბეკი გამოკვეთილი იქნება ასპინძის ღია-ოქროსფერი მარმარილოსაგან.

ძეგლის აგება ვარაუდით უნდა დამთავრდეს 1938 წლის გაზაფხულზე.

საპლანერო სკოლის ინსტრუქტორი ა. ქელივიძე ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობას.
ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დაიწყო საქალაქო პირველობის გათამაშება ფრენბურთში. **სურათზე:** საზ-ბა „მკვებავის" გუნდი, რომელმაც მოუგო „მედინსტიტუტს" და „ელვას". მარცხნიდან მარჯვნივ: გ. ღლონტი, ხ. გურგენიძე, ვ. ნაზაროვა, დ. გომერი, ა. ბორისოვა, დ. უვაროვა და ე. არარატოვა.

ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

საქალაქო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისათვის

წლითი-წლობით იზრდება საავტომობილო ტრანსპორტი. უკანასკნელ დროს შესამჩნევად გაიზარდა საქართველოს დედაქალაქის ტრამვაის პარკიც. არქივს ჩაბარდა ვიწროლიანდაგიანი ვაგონები, ფართო ლიანდაგი დაგებულ იქნა ტრამვაის გზების ათეულ კილომეტრზე, სადაც ახლა ტრამვაის ახალი, ფართო ვაგონები დასრიალებენ.

ასფალტირებულ ქუჩებზე განუწყვეტლივ დარბიან ტროლეიბუსები და ავტობუსები. ეს ავალებს საქალაქო ტრანსპორტის ყველა მუშაკს დიდი სიფრთხილე, დისციპლინა გამოიჩინოს ყოველდღიურ მუშაობაში. საქალაქო ტრანსპორტის მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ მინდობილი აქვთ ათეული და ასეული ადამიანის სიცოცხლე, ძვირფასი ტვირთები, ვაგონები, ავტომობილები.

ტრამვაის მუშაკთა და შოფერთა შორის ბევრი სტახანოველი, სოციალისტური შრომის ნამდვილი ოსტატი მოიპოვება. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც უდისციპლინობას იჩენენ, უხეშად ეპყრობიან მგზავრებს, დანაშაულებრივ გულგრილობას იჩენენ ადამიანთა სიცოცხლისა და ტრანსპორტისადმი.

თბილისში საკმაოდ ხშირია ავტომობილის და ტრამვაის ავარიები, თითქმის ყოველდღე ვკითხულობთ გაზეთებში ცნობებს კატასტროფაზე, დაჯახებაზე და სხვ.

მილიციის სამმართველოს ცნობით, მიმდინარე წლის აგვისტოში თბილისში მოხდა საქალაქო ტრანსპორტის 36 ავარია, სექტემბერში — 43. ამ შემთხვევების დიდი ნაწილი შედეგია შოფერებისა და ვატმანების მიერ თავისი მოვალეობის უხეშად დარღვევისა.

აი რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც უკანასკნელ დროს მოხდა:

30 სექტემბერს, საღამოს, მანგლისის გზატკეცილზე შოფერმა დიაკოვმა მოძრაობის წესების უხეშად დარღვევის გამო ხევში გადაჩეხა ავტომანქანა — ცისტერნა № 04—36. ეს კატასტროფა დიაკოვს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ის იქვე დაიღუპა, ორი მგზავრი კი, რომლებიც მასთან ერთად ისხდნენ კაბინაში, დაშავდა. მანქანა მწყობრიდან გამოვიდა.

იმავე დღეს კოჯრის გზატკეცილზე შოფერმა ა. მელიქოვმა, რომელიც მართავდა საბარგო ავტომანქანას № 08—67, დაუშვებელი სისწრაფე განავითარა და ერთერთ მოსახვევში მანქანა ხევში გადასჩეხა. სამი მგზავრი მძიმედ დაშავდა, მანქანა დაიმსხვრა.

ხშირია შემთხვევები, როდესაც შოფერები მთვრალი არიან. აი შოფერი მ. კაპეცი. სიმთვრალის დროს მან დიდი სისწრაფე განავითარა რეუტოვის ქუჩაზე, დაეჯახა ეტლს და მოკლა ცხენი.

აღმაშფოთებელი შემთხვევა მოხდა ამასწინათ საქართველოს სამხედრო გზაზე: დიდი სისწრაფით მიმავალი საბარგო ავტომანქანა დაეჯახა ურემს და იქვე მოჰკლა ორივე ხარი. ურმის მეპატრონე პაპიაშვილი ძლიერი დაჯახების გამო გადმოვარდა ურმიდან და წამოედო მანქანის ფრთას. შოფერმა ახნაზაროვმა, დააპირა რა მიმალვა, დიდი სისწრაფე განავითარა და ოთხ კილომეტრზე გაათრია პაპიაშვილი, შემდეგ უპატრონოდ მიატოვა მძიმედ დაჭრილი გლეხი, მიაგდო მანქანა და მიიმალა. რამდენიმე საათის შემდეგ ბოროტმოქმედი დააპატიმრეს სოფელ დიღომში. გამოირკვა, რომ ახნაზაროვი მთვრალი იყო.

მოძრაობის წესებს არღვევენ ვატმანებიც, რომლებსაც დაუშვებელი სისწრაფით მიჰყავთ ვაგონები ქუჩებზე. შეიძლება ათეული ფაქტის მოყვანა თავისი მოვალეობისადმი დანაშაულებრივ-გულგრილი დამოკიდებულებისა ტრამვაის მუშაკების მხრით, რაც იმას მოწმობს, რომ შრომის დისციპლინა მათ შორის არ დგას ჯეროვან სიმაღლეზე.

ხშირია ქვეითად მიმავალ მოქალაქეთა უბედური შემთხვევებიც. მათი უმრავლესობა თვით მგზავრთა ბრალია. აი რამდენიმე ცნობა შემთხვევების დღიურიდან:

მოქ. ა. კ. ოგანეზოვი ტრამვაის ვაგონზე შეხტომისას ჩამოვარდა და მისაბმელი ვაგონის ქვეშ მოჰყვა. თვლებმა მას ფეხი გადასჭრა.

ჩელუსკინელთა მოედანზე გრბეშიანის ქალმა დააპირა ტრამვაის ვაგონზე შეხტომა, ჩამოვარდა, მოჰყვა ვაგონის ქვეშ და იქვე დაიღუპა.

25 ნოემბერს ფედერაციის მოედანზე მოქ. ზ. ბერიძე ტრამვაის ვაგონიდან ჩამოხტომის დროს მისაბმელი ვაგონის ქვეშ მოჰყვა. თვლებმა მას ორივე ფეხი გადასჭრა.

უბედურ შემთხვევათა დიდი პროცენტი მოდის ბავშვებზე. ბავშვები, რომლებსაც არ აუხსნეს ქუჩაში მოძრაობის წესები, რომლებიც უპატრონოდ არიან მიტოვებულნი, გართობის მიზნით იწყებენ ტრამვაის ვაგონებზე შეხტომას, ქუჩაზე გადასვლას მიმავალი ავტომანქანის წინ და ხშირად უბედური შემთხვევის მსხვერპლნი ხდებიან.

მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი არიან პირდაპირი დამნაშავენი ბავშვების დასახიჩრებისათვის. გარდა მშობლებისა, ბავშვებისათვის ქუჩაში მოძრაობის წესების განმარტება უნდა იკისრონ სკოლებმა და პიონერთა ორგანიზაციებმა.

ვიბრძოლოთ საქალაქო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისათვის! თბილისში არ უნდა იყოს ქუჩაში მოძრაობის არცერთი მსხვერპლი.

ს—ი.

მეორე ხუთწლედის სესხის მოგებათა მორიგი ტირაჟი

საქართველოს შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის რესპუბლიკურ სამმართველოში მიღებული ცნობებით, მეორე ხუთწლედის სესხის მოგებათა მორიგი მეხუთე ტირაჟი სსრ კავშირის ფინსახკომის გადაწყვეტილებით ჩატარდება ქალ. ვოროშილოვგრადში 1937 წლის 25 დეკემბერს.

სესხის პირობების თანახმად მეხუთე ტირაჟიდან იწყება მოგებათა რაოდენობის გადიდება. წაუგებელი გამოშვების 200 თანრიგზე გათამაშებული იქნება 1060 ათასი მოგება 173.920.000 მანეთისა. წინა ტირაჟებში კი გათამაშებული იყო 1.000.000 მოგება 164.920.000 მანეთისა.

ხელოვნება

საბჭოთა მუსიკის დეკადა

1 დეკემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან თეატრში გაიმართა საბჭოთა მუსიკის დეკადის მესამე საღამო, რომელიც მიეძღვნა სომხეთის სს რესპუბლიკის კომპოზიტორებს. საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ორკესტრის სიმფონიური კონცერტი ჩატარდა დირიჟორის პროფესორ კ. ს. სარაჯევის (ერევანი) ხელმძღვანელობით.

მსმენელებს მიეცათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ სომეხ კომპოზიტორთა ახალ ნაწარმოებს. მეტწილად შესრულებულ იქნა ახალგაზრდა კომპოზიტორთა ნაწარმოებნი.

დიდი წარმატება ხვდა კომპოზიტორ აზატ მშიანის სიმფონიის პირველი ნაწილისა და კომპოზიტორ აშოტ სათიანის „საზეიმო მარშის" შესრულებას. ეს ნაწარმოებნი მიძღვნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისადმი. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ტ. ტერ-მარტიროსიანის სიმფონიურმა კონცერტმა.

მეორე განყოფილებაში შესრულებულ იქნა შესავალი და ცეკვა კომპოზიტორ კარო ზაქარიანის ოპერა „მარჯანიდან", ფერხული სტეპანიანის ოპერა „ქაჩ ნაზარიდან" და სხვ. დიდად მოეწონა აუდიტორიას აგრეთვე კომპოზიტორ ნ. ტიგრანიანის „აღმოსავლური მარში" და „შიქასტა", აგრეთვე ორი ცეკვა კომპოზიტორ ა. ტიგრანიანის ოპერა „ანუშიდან".

საბჭოთა მუსიკის დეკადის შემდგომი კონცერტი შესდგება 7 დეკემბერს და მიეძღვნება უკრაინის სს რესპუბლიკის კომპოზიტორებს. დირიჟორობას გასწევს მ. მ. კანერშტეინი.

ხალხური სიმღერების ჩაწერა

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხალხური შემოქმედების კაბინეტმა ქართული ხალხური სიმღერების ჩასაწერად და შესაგროვებლად დასავლეთ საქართველოს რაიონებში მიავლინა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ორდენოსანი კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი.

პიანისტთა საკავშირო კონკურსი

20 დეკემბერს მოსკოვში იწყება პიანისტთა სრულიად-საკავშირო კონკურსი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წამოაყენა მე-4 კურსის სტუდენტი ელენე მღებროვა, პროფ. ი. ს. აისბერგის კლასიდან.

ე. მღებროვასთან ერთად მოსკოვს გაემგზავრება პროფ. აისბერგი, რომელიც პიანისტთა სრულიად-საკავშირო კონკურსის ჟიურის წევრია.



პიანისტი ელენე მღებროვა

ახალი წიგნები

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტგამომცემლობამ გამოსცა შემდეგი წიგნები: ლ. პ. ბერია—[illegible] ერთიანი [illegible] მ. ი. კალინინი—რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელებს, ა. ი. ვიშინსკი—დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კითხვებსა და პასუხებში, სტალინური საარჩევნო კანონი, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წესდება.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ" გამოსცა „ამომრჩევლის ბიბლიოთეკის" სერიიდან: „ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქი", „სოციალისტური ხელოვნების აყვავება";

ამავე სერიიდან საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა „ორდენოსანი საბჭოთა საქართველო მოწინავე კულტურის ქვეყანაა".

ს პ ო რ ტ ი

პირველობის გათამაშება ფრენბურთში

ამჟამად მიმდინარეობს თბილისის პირველობის გათამაშება ფრენბურთში.

პირველი კალენდარული მატჩი დამთავრდა შემდეგი მაჩვენებლებით: „მკვებავმა" მოუგო „მედიცინას" ანგარიშით 5:1, „დინამომ" „ლოკომოტივს" — 4:1, „სპარტაკის" და „ელვას" შეხვედრა ყაიმით დამთავრდა — 3:3.

მეორე კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „მკვებავის" და „ელვის" გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა 3:3.

„დინამოსა" და „სპარტაკის" შეხვედრა დამთავრდა „დინამოს" გამარჯვებით — ანგარიშით 5:1.

დიდი ინტერესი გამოიწვია „მეცნიერების" და „ლოკომოტივის" გუნდების შეხვედრამ. ამ დღეს „მეცნიერებამ" ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი ძლიერება და მატჩი მოიგო ანგარიშით 4:2.

ორი მატჩის შემდეგ წინ არიან „მკვებავი" — 199 ქულით და „დინამო" — 195 ქულით.

შემთხვევები

— **ავარია.** 2 დეკემბერს, ღამით „ინმშენის" სატვირთო ავტომანქანა №31—58, რომელსაც მართავდა მექანიკოსი ი. ზ. თვალიაშვილი, დაეჯახა კარლ მარქსის სახ. ხიდის მოაჯირს. მოაჯირი დაზიანდა 6 მეტრის სიგრძეზე, მსხვერპლი არ ყოფილა. თვალიაშვილი მიცემულია პასუხისგებაში.

— **ხულიგანი.** ქუჩაში დებოშის ატეხისა და მოქალაქეთა შეურაცხყოფისათვის მილიციის ორგანოებმა დააპატიმრეს გ. ი. ტეცოშვილი (ბოჭორიშვილის ქ. № 14). ხულიგანი მიცემულია პასუხისგებაში.

პარტკალენდარი

დღეს, 4 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტატორებისათვის ქართულ და რუსულ ენებზე შესდგება კონსულტაცია თემაზე: „ხმის მიცემის წესი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებში".

* * *

დღეს, 4 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის პარტაქტივისათვის რუსულ ენაზე შესდგება მოხსენება თემაზე: „გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუცია". მომხსენებელია ამხ. კ. მახარაძე.

* * *

დღეს, 4 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტსემინარის მორიგი მეცადინეობა, თემა: „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის შესახებ; კომუნიზმის დაბალი და უმაღლესი საფეხური".

მცირერიცხოვან პარტორგანიზაციათა აგიტატორების დასწრება სავალდებულოა.

სარედაქციო კოლეგია.

დღეს კინოთეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ხმ. ფილმი **ი. ბ. სტალინის** მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე 1936 წ. 25 ნოემბერს. დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 123	ხმოვანი მხატვრ. ფილმი **ბალტიკის დეპუტატი** დასაწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	ხმ. მხატვრ. ფილმი **ჩვენ კრონშტადტიდან ვართ** დასაწყ. 6-30
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ხმ. ფ. **ჩაპაევი** დ. საწ. 6-30, დღისით **როგორ მისცემს ხმას ამომრჩეველი** დასაწყ. დღ. 12 ს-დან.
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	ხმოვანი ფილმი **ჩვენ კრონშტადტიდან ვართ** დასაწყ. 6-30
არსენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი **მაქსიმეს სიყრმე** დასაწყისი 6-30
ახალი ამბები	**ბოლშევიკური მოსავალი**

სახცირკი. ტელ. 3-11-44
4 დეკემბერს
განახლებული პროგრამა
3 განყოფილებად
მწრთვნელი **შაფრიკი**—ყოველნაირი ცხოველებით.
7 დაიტონი. არტ. **რიანის** პირველი გამოსვლა, აგრეთვე მთელი დასი.
დასაწყ. 8 ს. 30 წ. სალარო ღიაა 12—2 ს. და 5 საათიდან.
6 დეკემბერს წარმოდგენა დღისით მწრთვნელ **შაფრიკის** და ახალი გასტროლიორების მონაწილეობით.

განსახკომის უმაღლეს სასწავლებელთათვის მოსამზადებელი
კ უ რ ს ე ბ ი
ხსნის ახალ ჯგუფს
პირობების გაგება საღ. 6 ს. ორჯონიკიძის ქ. № 49, მე-26 სკოლა, მეორე სართული. 17473

ა. დ. ქ ლ ე ნ ტ ი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

სამკერვალო სახელოსნო
მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა (მალაკნის ქ., № 3) შემკვეთელების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი შეკვეთები: ქალისა და კაცის პალტოები, ქალისა და კაცის კოსტუმები, დამზადებული ა. წ. 1-ლ დეკემბრისათვის, გამოსყიდულ უნდა იქნას სამი დღის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა.
აღნიშნული ვადის შემდეგ შეკვეთები გაიყიდება და არავითარი პრეტენზია არ მიიღება.
1612, 2588, 2938, 2885, 2906, 3238, 2800, 2563, 3036, 2898, 1256,
2907, 2859, 1160, 1611, 2853, 2794, 3065, 2929, 3120, 2672, 2936,
2888, 2808, 2977, 2948, 2861, 2784, 2935, 2578, 2576, 2984, 2872,
2890, 2583, 2484, 3185, 2351, 2542, 2440, 2962, 2728, 2842, 3287,
3134, 2894, 2881, 2996, 2968, 2817, 2662.
შენიშვნა: დანარჩენი შეკვეთებიც—გიმნასტიორკები, შარვლები, იუბკები, და კაბები, რომლებიც მზად იყო 1-ლი დეკემბრისათვის, აგრეთვე გამოსყიდულ უნდა იქნას სამი დღის განმავლობაში.
442 ადმინისტრაცია.

ჯ. ს. პ. სახელმწიფო სამედიცინო გამომცემლობის შენაერთი ბალანსი 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის

ა ქ ტ ი ვ ი — პ ა ს ი ვ ი

№№ რიგ.	ბალანსის მუხლების დასახელება	თანხა მან.	№№ რიგ.	ბალანსის მუხლების დასახელება	თანხა მან.
1	ძირითადი საშუალებანი	180.776	1	ფონდები და რეზერვები	351.525
2	ნედლეული და მასალები	174.873	2	ანგარიშსწორებანი	421.880
3	წარმოება და გადამუშავება	113.439	3	დაგროვებანი მიმდინარე წლისა გასანაწილ.	338.391
4	საქონელი და სხვა ნაწარმი	198.630			
5	გადაგზავნილი საქონელი და შესრულებული დაკვეთა	84.788			
6	ფულადი საშუალებანი	204.396			
7	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	133.728			
8	ხარჯები მომავალი პერიოდის ან-ში	21.166			
	ბალანსი	1.111.796		ბალანსი	1.111.796

1936 წლ. დაგროვება-დანაკარგების ანგარიში.

1.	სხვადასხვა დანაკარგები	98.235	1.	შემოსავალი რეალიზაციით	411.783
2.	დაგროვება მიმდინარე წლის გასანაწ.	338.391	2.	სხვადასხვა შემოსავალი	24.843
	ბალანსი	436.626		ბალანსი	436.626

დირექტორი **ი. ფანცხავა.** მთ. ბუღალტერი **ხ. კერესელიძე.**

ბალანსი დამტკიცებულია საქ. ჯანსახკომის საბალანსო კომისიის მიერ 1937 წლის 16 მარტს, ოქმი № 10. 1194

საქართველოს სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „მესარკის" დასკვნითი ბალანსი 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის

ა ქ ტ ი ვ ი — პ ა ს ი ვ ი

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა (მან.)	№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა (მან.)
1	ძირითადი საშუალებანი	28048	1	ფონდები	59079
2	საწარმოო მარაგი	70512	2	ანგარიშსწორებანი	33692
3	ფულადი საშუალებანი	24644	3	დაგროვება	110235
4	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	31609			
5	მომავალი დროის ხარჯები	2323			
6	გახყენებული საშუალებანი	45870			
	ბალანსი	203006		ბალანსი	203006

1936 წლის დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1.	სხვადასხვა ხარჯები და დანაკარგები	1390	1.	შემოსავალი რეალიზაციით	111598
			2.	სხვადასხვა შემოსავალი	27
	ჯამი	1390		ჯამი	111625
	წმინდა დაგროვება	110235			
	ბალანსი	111625		ბალანსი	111625

გამგეობის თავმჯდომარე **ქ. კობახიძე.** მთ. ბუღალტერი **შ. ვარდოსანიძე.**

დამტკიცებულია სარეწაო კავშირის საბალანსო კომისიის მიერ 1937 წლის 28 იანვარს, ოქმი № 46. 1620

მისამართი: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34 ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ. მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 32577